პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, ტელეფონი 10—49

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კამპ. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ. შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან. განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

დღევანდელი ნომერი შეიცავს 6 გვერდს

დღიური

— გერმანიის მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს [illegible] საფრანგეთ-ბელგიასთან სესხის მიღების შესახებ.

— ესპანელები აპირებენ მაროკოს დაცლას.

— ჩინეთში ბრძოლა სწარმოებს [illegible] დაშორებით.

— გაიხსნა ჩეხო-სლოვაკიის ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენელთა ყრილობა.

— დასავლეთ ევროპის კათოლიკური ეკლესია დიდ კამპანიას ეწევა ერრიოს წინააღმდეგ.

ხუთშაბათი 9 ოქტომბერი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კ. № 231 (1086)

კიდევ გაცრუებული იმედები

ვენებურ კონტრ-რევოლიუციას რომ ნაური ძალებით გამარჯვების იმეს ნასახიც არ შეიძლებოდა ჰქონო-, ეს იმთავითვე ცხადი იყო არა მარი ჩვენთვის, არამედ ამ კონტრ-რევოლიუციის მეთაურებისათვისაც. მუა კლასი გლეხობა და ყველა მშრომი, პატიოსანი მოქალაქე კარგაია რაც ჩამოიშორდა მენშევიკებს შეაფურთხა ამ გზადაბნეულ ავანტიურისტებს და სისხლისღვრის მოიქულებს.

ამიტომაც იყო, ისინი „დაუძმოლდნენ" საზოგადოების ყველა ნარალებს და ცხოვრების მიერ განრულ ელემენტებს — თავად-აზურებს, ნიკოლოზის ოფიცრებს, ვდლებს, ვაჭრებს, სისხლის სამარლის დამნაშავეთ, ტყეში გავარდილ ყაჩაღებს. მათი საშუალებით ცდილობდნენ ქართველი მშრომელი ლხის „გაბედნიერებას", ე. ი. მის ერზე ამ მძარცველების და პარაიტების უღლის კვლავ დადგმას. მაგრამ მხოლოდ ჭკუაზე გადაცდენილს თუ შეეძლო ასეთი „სახელოვანი არიით" საქართველოს გამოფხიზლეულ მუშების და გლეხების დაპყროს იმედი ჰქონოდა.

მენშევიკებიც მთელ თავის იმედს ზღვარ-გარეთზე ამყარებდნენ. იქ „ამუშავებდენ საზოგადოებრივ აზრს", იქიდან ღებულობდენ ფულით დახმარებას და სხ.

ევროპაში მომხდარ სხვა და სხვა კონფერენციებსა და ყრილობებზე. ქველგან, სადაც ხმა მიუწვდებოდათ, მენშევიკები მართავდნენ „იერემიას გოდებას", ვითომდა დამონებულ საქართველოს შესახებ.

მაგრამ მათი ხელტიალიდან ევროპის, დედა-ქალაქებში და მათი „მემორანდუმებიდან" არაფერი გამოვიდა. მათ ყველგან სასტიკი დამარცხება იწვნიეს. გაიხსენეთ თუ გინდ გენტის კონფერენცია და ბევრი სხვა.

ამას წინედაც, გენტის კოოპერა[illegible] საქართველოს კოოპერაციის სახელით ქართველი ხალხის ამ უს[illegible]მოდ დარჩენილმა არამკითხე ოპეკუნებმა. მათი მთავარი იარაღი—ეს სიცრუეა და გენტის კონგრესზეც ეს ნაცადი იარაღი მოიმარჯვეს და დაიწყეს მოთქმა ჩვენი კოოპერაციის ვითომდა უმწეო მდგომარეობაზე, ვით მისი გულშემატკივარ ჭირისუფლებმა.

მაგრამ კონგრესი იძულებული იყო სინამდვილისათვის ანგარიში გაეწია, მან კარგად გაუსინჯა კბილები ამ ვაჟბატონებს, მათ ტყუილებს არავინ დაუჯერა და კოოპერატიულმა ალიანსმა იცნო ცეკავშირის საბჭოთა წარმომადგენელი. ამასთან საერთაშორისო კოოპერატიულ გაერთიანების აღმასრულებელ ორგანოში ადგილი დაეთმო ცენტრო-კავშირის წარმომადგენელს.

ეს დამარცხება ერთი მრავალთაგანია, რომელნიც მენშევიკებმა განიცადეს.

ყოველი გამარჯვება საბჭოთა ხელისუფლებისა, საბჭოთა კავშირისა საერთაშორისო თუ საშინაო ფრონტზე— ეს იმავე დროს მახვილის ჩაცემაა ჩვენებური მენშევიკებისათვის, საერთოდ მსოფლიო კონტრ-რევოლიუციისათვის.

გუშინ ჩვენ გვქონდა გამოქვეყნებული ინგლისის მთავრობის წარმომადგენელის—პონსონბის განცხადება, რომ მისი მთავრობა სცნობს საბჭოთა მთავრობის ძალა-უფლებას საქართველოზე. ეს განაცხადა იმ მთავრობამ, რომლისაგან წყალწაღებული მენშევიკები ხსნას გამოელოდნენ.

საფრანგეთიც „დიდი მეგობარი" იყო მათი. მენშევიკების ავანტიურაც ფრანგული ფრანკებით იკვებებოდა. საფრანგეთის „სოციალისტების" მეთაური რენოდელიც შეჰპირდა თავის ქართველ თანამოძმეთ, რომ ის მიიღებდა ყოველგვარ ზომებს, რათა ერრიოს, საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკების დროს, წარედგინა უკანასკნელის ცნობის პირობად საქართველოს „განთავისუფლება". ჩვენთვის ცხადი იყო ამ „შეპირების" სრული უნიადაგობა.

მართლაც, დახეთ მენშევიკების უბედობას: გაზ. „მატენ" იუწყება, როგორც უტყუარ ფაქტს, რომ დემონზის კომისია მომხრეა საბჭოთა მთავრობის იურიდიულად ცნობისა ყოველგვარ წინასწარ პირობების გარეშე". აი კიდევ ერთი მძიმე ლოდი ჩვენებური კონტრ-რევოლიუციის დამსხვრეულ იმედების საფლავზე.

მენშევიკები, აგრეთვე, ცხადია, ოცნებობდნენ საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შერყევაზე შორეულ აღმოსავლეთში, ჩინეთში. აქ ბოლო დროს ღიდი იმბები დატრიალდა. საბჭოთა კავშირას და ჩინეთის ხელშეკრულების დადების შემდეგ, მსოფლიო იმპერიალისტები შეეცადნენ ჩინეთის ინტერვენციას და იქ დაანთეს სამოქალაქო ომის კოცონი. ჩინეთის დამონებასთან ერთად, ისინი მიზნად ისახავდნენ აღნიშნულ ხელშეკრულების მოსპობას. იმპერიალისტების მოქმედება ჩინეთში მიმართული იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაც. მაგრამ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამ უკანასკნელ დღეებში საბჭოთა ხელისუფლებამ უდიდეს გამარჯვებას მიაღწია შორეულ აღმოსავლეთში და განამტკიცა თავისი კავშირი დაჩაგრულ ჩინეთის ხალხთან. მოხდა საბოლოო შეთანხმება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის საკითხში. ეს გზა, რომელზედაც თვალებს აცეცებდნენ მსოფლიო ავაზაკები, გადაეცა საბჭოთა მთავრობას. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ჩვენი საელჩოს შენობა პეკინში გადაეცა საბჭოთა წარმომადგენლობას და იქ აღმართულ იქნა საბჭოთა კავშირის დროშა.

ამგვარად, იმპერიალისტები აქაც სასტიკად დამარცხდნენ. მათ ქედი მოიდრიკეს საბჭოთა კავშირის სიძლიერის წინაშე, საბჭოთა კავშირის, რომელიც გახდა უდიდეს საერთაშორისო ფაქტორად.

საბჭოთა ხელისუფლების თანდათანი განმტკიცება ჰკლავს ჩვენებური და მსოფლიო კონტრ-რევოლიუციის ყოველგვარ ილიუზიას—საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის გართულების გზით თავისი შავი ზრახვების განაღდების შესახებ.

მენშევიკების ავანტიურის გარშემო

სიცრუესაც საზღვარი უნდა ჰქონდეს.

ქართველ მენშევიკების წარმომადგენლობამ საზღვარ-გარეთ და მეორე ინტერნაციონალმა სრულიად დაჰკარგეს გონება საქართველოში მათი ავანტიურის ასე სამარცხვინოდ დამთავრების გამო. სამი კვირის განმავლობაში გაჰყვიროდნენ თავისი გამარჯვებების შესახებ, აცხადებდნენ, რომ აიღეს ბათომი, ქუთაისი, თბილისი, აჯანყების ცეცხლი დაანთეს მთელს კავკასიაში, განდევნეს წითელი არმია. ეხლა კი ირკვევა, რომ 24 საათით აიღეს ჭიათურა და კიდევ სხვა რამოდენიმე მსოფლიო ცენტრი, რომელსაც ვერც ერთ რუკაზე ვერ იპოვნი. მისვლა ევროპის მუშასთან და თქმა: ყველაფერი სიცრუე იყო— არ შეიძლება. ამიტომ ახლა ისინი უარს ამბობენ გამარჯვებულთა როლზე და გამოდიან საბრალო მოტყუებულ მსხვერპლთა როლში. რამდენიმე დღის წინათ ჩვენ მოვიყვანეთ ბჭობია ჩემის ახალი ზღაპარი მენშევიკების ავანტიურის შესახებ, რომელიც დაბეჭდილი იყო ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანოში, „დეილი ტელეგრაფ"-ში. ამ ახალი ვერსიის თანახმად, აჯანყდა არა გმირი ქართველი ხალხი, არამედ საგანგებო კომისია, აჯანყებას მეთაურობდა არა ნოე ჟორდანია, არამედ საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე კვანტალიანი. მან გამოიწვია პროვოკაციულად ეს აჯანყება და მანვე დაასამარა ის. ახლა ირკვევა, რომ ეს ანეკდოტი წარმოადგენს „საქართველოში ნაციონალური მოძრაობის" ისტორიის ოფიციალურ ახსნა-განმარტებას. მეორე ინტერნაციონალის მხრივ გერმანიის მენშევიკების ორგანოში, „ფორვერტს"-ში, 25 სექტემბერს მოთავსებულია წერილი სათაურით „ჯანყება საქართველოში—პროვოკაციის შედეგია". ამ წერილში პატივცემული გაზეთი, რომელიც თავის მკითხველებს იდიოტებათ თვლის, აცხადებს, რომ „ზარია ვოსტოკა"-ს 29 აგვისტოს ნომერში მოთავსებული ცნობები ამტკიცებენ, რომ აჯანყება მოაწყო საგანგებო კომისიამ. რა საბუთებია ეს? ეს არის აპრილში საქართველოში აჯანყების მოსაწყობათ ჩამოსული საქართველოს ყოფ. სახალხო გვარდიის მეთაურის ვალიკო ჯუღელის წერილები,—წერილები საქართველოს მენშევიკური პარტიის ც. კ. სახელზე, წერილი მისი ყველა ამხანაგებისადმი და მისი მიწერ-მოწერა საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე კვანტალიანთან. რა გამომდინარეობს ამ წერილებიდან?

თავის წერილში, რომელიც დაწერილია 26 აგვისტოს, ჯუღელი სიტყვა-სიტყვით აცხადებს:

„ვაცხადებ სრულიად გულღიად და ყველას გასაგონათ, რომ საქართველოში ჩამოვედი [illegible] და გარკვეული მიზნით. პირველყოვლისა, რომ უშუალოდ გავცნობოდი მდგომარეობას და თუ მდგომარეობა ხელსაყრელი იქნებოდა, შევდგომოდი სახალხო აჯანყების მოწყობას".

ვინ გამოგზავნა ჯუღელი? ჯუღელი ხელს აწერს თავის განცხადებებს, როგორც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ც. კ. და მისი საზღვარ-გარეთელი ბიუროს წევრი. ვინ უდგას სათავეში ამ პატივცემულ დაწესებულებას? **ნოე ჟორდანია და ირაკლი წერეთელი.** მაშასადამე მათის დავალებით ჯუღელი გაემგზავრა საქართველოში აჯანყების მოსაწყობათ. მაგრამ შესაძლებელია, ჯუღელმა, გაეცნო რა მდგომარეობას, არ მოაწყო აჯანყება? მაგრამ გარდა იმისა, რომ თვით ჯუღელი, ერთი წუთითაც კი არ ამბობს უარს პასუხისმგებლობაზე აჯანყების მომზადებისათვის, არის კიდევ ბათომის ყოფილი ქალაქის თავის, მენშევიკური პარტიის ძველი წევრის (1905 წლიდან) **გიზო ანჯაფარიძის** განცხადება, რომ „ჯუღელი და ბენია ჩხიკვიშვილი (ქართველ მენშევიკების ც. კ. წევრები), კვირანახევრის შემდეგ მათი საქართველოში ჩამოსვლის დღიდან, შემეკითხენ მე, როგორც ძველი სოციალ-დემოკრატს, როგორია ჩემი აზრი საქართველოში შეიარაღებულ აჯანყებაზე, როგორც ფაქტორზე, **რომელიც იქონიებს გავლენას ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებაზე.** მე მათ პასუხი გავეცი წერილით, რომელშიაც ვწერდი, რომ შეიარაღებული აჯანყება იქნება ისეთი ავანტიურა, რომელიც საბოლოოთ დაღუპავს ჩვენს პარტიას. აჯანყების იმედი არ არის, ხოლო ქართველი ხალხის სისხლის უმიზნოთ დაღვრა ჩვენს საქმეებში ინგლისის ან კიდევ ვინმეს ჩარევის რაღაც პრობლემატიური იმედით—დაუშვებელია. ამ წერილზე ჯუღელმა მიპასუხა საყვედურით, რომ მე პესიმიზმს შევუპყრივარ. **ორი თვის წინად პარტიის ცეკამ დამავალა პარტიული [illegible] კავშირი დამეჭირა სხვა პარტიებთან,** რაც მე კიდეც შევასრულე — დაუკავშირდი ნაციონალ-დემოკრატებს და სოციალისტ-ფედერალისტებს. შექმნილმა გაერთიანებამ შეადგინა აჭარისტანის პარიტეტული კომიტეტი, რომლის ოფიციალურ წარმომადგენლად ვითვლებოდი მე. **შეიარაღებული აჯანყების მიზანშეწონილობის საკითხი პარიტეტულ კომიტეტში არ გარჩეულა, ვინაიდან ჩვენ ყველანი ხელებ შეკრული ვიყავით თავ-თავისი პარტიების დადგენილებებით".**

რას ნიშნავს ეს? გამოდის, რომ მენშევიზმის გმირები ბატონი ნოე ჟორდანია და ირაკლი წერეთელი,—საქართველოს საგანგებო კომისიის აგენტებია, რომლებიც აწყობდენ აჯანყებას საქართველოში, რათა საბჭოთა ხელისუფლებას ადვილად ჩაექრო ის. არა, „ფორვერტს" ეს როდი უნდოდა ეთქვა. მას უნდოდა ეთქვა, რომ საგანგებო კომისიას, რომელმაც დააპატიმრა ჯუღელი და აჯანყებისათვის მზადების სხვა ხელმძღვანელები, სათავეშივე შეეძლო ჩაექრო აჯანყება, არ დაეშვა ის, მაგრამ ეს მან არ მოისურვა. ამას „ფორვერტს"-ი აშკარად ამტკიცებს: „საბჭოთა მთავრობას რომ მოესურვებია, აჯანყება არ მოხდებოდა"-ო. **როგორ შეიძლებოდა ეს?** „ფორვერტს"-ი, როგორც სჩანს, კარგათ არის გაცნობილი პროვოკაციის მეთოდებთან. სოციალ-დემოკრატი სევერინგი, პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი, მიმართავს პროვოკაციას, როგორც მცირე ისე ფართე მასშტაბით, მან 1921 წელს პროვოკაციის საშუალებით მოახერხა პროლეტარიატის აჯანყების მოწყობა შუა გერმანიაში, როგორ მოაწყო ეს ბატონმა სევერინგმა? ძალიან ადვილად. მთელს გერმანიაში მუშები განიარაღებული იყვენ, მხოლოდ გერმანიის ცენტრალურ რაიონში, მუშებს ჰქონდათ დინამიტი და იარაღი დამალული მაღაროებში. რათა გამოეწვია მუშათა კლასის სეპარატიული გამოსვლა, **ბატონმა** სევერინგმა უბრძანა სოციალ-დემოკრატ ხერზინგს, გერმანიის ცენტრალური პროვინციების პრეზიდენტს, განეიარაღებია მაღაროს მუშები. როცა ჯარებმა დაიკავეს მანსფელდისა და სხვა რაიონები, მაღაროს მუშებმა ვერ მოითმინეს, გამოიტანეს მაღაროებში გადამალული იარაღი, შეუტიეს პოლიციის გაძლიერებულ რაზმებს. ისინი დამარცხდენ და განაიარაღეს. ბატონმა **სევერინგმა აირჩია პროვოკაციის ერთად ერთი შესაძლებელი გზა მასიური მღელვარების** პირობებში: **მან შეუტია მასსას** და გამოიწვია ნაადრევ გამოსვლაზე. მაგრამ ვინ და როდის შეუტია საქართველოს ხალხს „ფორვერტს"-ი ვერ ასახელებს ვერც ერთს ფაქტს. საქართველოში არა თუ არ ქონებია ადგილი მასიურ დევნას, **მაგრამ მას არც** შეიძლება ჰქონებოდა **ადგილი, რადგან** მუშურ-გლეხური მასა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მხარეზეა. უფრო მეტი. ორი დღით ადრე აჯანყებამდი თბილისში შესდგა ყრილობა ყოფილი მენშევიკებისა, რომლებიც ერთი წლის წინათ წავიდენ პარტიიდან და დღესასწაულობდენ მასთან კავშირის გაწყვეტას. რაში მდგომარეობდა პროვოკაცია? იმაში, რომ დააპატიმრეს მეთაურები, რომლებიც აჯანყებას ამზადებდენ? მაგრამ ეს ხომ აჯანყების თავიდან აცილების მეთოდია. შეიძლება იმაში მდგომარეობს პროვოკაცია, რომ არ დააპატიმრეს არალეგალური მენშევიკური, ფედერალისტების და ნაციონალ-დემოკრატების ორგანიზაციის ყველა წევრები? მაშასადამე „ფორვერტს"-ი ბრალს დებს საგანგებო კომისიას, რომ მან ძლიერ ცოტა ხალხი დააპატიმრა. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ საქართველოს საგანგებო კომისიას სცოდნოდა მთელი შემადგენლობა იმ ორგანიზაციის, რომელიც აჯანყებას ამზადებდა, ის შეასრულებდა „ფორვერტს"-ის სურვილს, თუმცა მაშინ „ფორვერტს"-ი ბრალს დასდებდა საგანგებო კომისიას უდანაშაულო ხალხის დევნაში. საგანგებო კომისია დარწმუნებული იყო, რომ ჯუღელის და აჯანყების სხვა მეთაურების დაპატიმრება გამოაფხიზლებს მენშევიკ-ავანტიურისტებს. მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. ნათქვამია ღმერთი რომ კაცის დასჯას მოინდომებს, ჭკუას წაართმევსო. ჯუღელი ციხეში მიხვდა იმას, რაც დაპატიმრებამდე უნდა გაეგო. „მე დავინახე, რომ **ფულის სტაბილიზაცია** იწვევს ერთგვარ სტაბილიზაციას გლეხობის განწყობილებაში, რასაც ჩვენ არ მოველოდითო"—სწერს ჯუღელი. ეს ნიშნავს: გლეხობას არავითარი საბაბი არ ჰქონდა აჯანყებისათვის. მაგრამ ამას მენშევიკ-ავანტიურისტები ვერ ხედავდენ. მათ არ უნდოდათ ეცნოთ „**ფაქტების ლოღიკა**" (ჯუღელის სიტყვებია) ვინაიდან „**განწყობილების ლოღიკის**" ტყვეობაში იყვენ. საიდან წარმოიშვა მათში ასეთი განწყობილება? საქართველოში არის 12.000 მემამულე, რომლებსაც რევოლიუციამ წაართვა მიწები. ისინი შეადგენენ მცხოვრებთა 6 პროც. მათ შორის 7.000 ყოფილი ოფიცერია, რომლებსაც რევოლიუციამ წაართვა პაგონები. კლასიურად გახრწნილი ელემენტები ყოველთვის ავანტიურიზმის გზას ადგებიან. აი რატომ ვერ დაინახეს მათ თავისი ავანტიურის უაზრობა. დაპატიმრებამდი ჯუღელი დარწმუნებული იყო, რომ „საერთაშორისო მდგომარეობა ჩვენ ხელს გვიწყობდა". რატომ? ლონდონში ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის მოლაპარაკება სწარმოებდა. თუ მოხერხდებოდა აჯანყების მოწყობა „**ინგლის-საბჭოთა კონფერენციაზე საქართველოს ოკუპაციის თვით ფაქტი იხეთ მძაფრვალე გამოხმაურებას ჰპოვებდა, რომ მოსკოვი იძულებული იქნებოდა დაუყოვნებლივ ეცნო და დაელასტურებია ეს სახალხო აქტი**". ჯუღელი დააპატიმრეს 6 აგვისტოს; 8 აგვისტოს ხელი მოაწერეს ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულებას და ჯუღელი ციხეში მიხვდა, რომ „**ეს შეთანხმება ისე დიდმნიშვნელოვანია, რომ ის დიდ ფაქტორს წარმოადგენს ჩვენი ტაქტიკის გადასახინჯავად**", დაუპატიმრებლად დარჩენილი ავანტიურისტები კი, სჩანს, სხვანაირად მსჯელობდენ: ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმებას წინასწარი ხასიათი აქვს, უნდა ჩავშალოთ ის აჯანყებითო. და გამოვიდენ. აჯანყება დამარცხდა. დამარცხება პირველყოვლისა მდგომარეობს იმაში, რომ მას მხარი არ დაუჭირეს ფართე მასებმა. ამას უდავოთ აღიარებენ თვით აჯანყების მეთაურები. დოკუმენტში, რომელსაც ხელს აწერს პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე, მენშევიკი კოტე ანდრონიკაშვილი, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელებია აჯანყებისათვის, ვკითხულობთ: „**ხალხის ფართო მასამ ჩვენ მხარი არ დაგვიჭირა. შეგვრჩა მხოლოდ ის აქტიური ძალები, რომლებიც ერის ზედაფენებში იყო მოგროვილი და უმეტეს წილად ტყეებში გახიზნული**".

ქართველი მშრომელი ხალხი არ წამოეგო კლასობრივად გახრწნილ ავანტიურისტების ბანდის ანკესზე. არაფერი გასაკვირი არ არის იმაში, რომ ნოე ჟორდანია და წერეთელი, გაკოტრებული პროვოკატორები, ყვირიან ახლა პროვოკაციაზე. გერმანული ანდაზა ამბობს: როცა უგუნურ ნაბიჯს გადადგამ, ყბად აგიღებენო. ნოე ჟორდანიამ და წერეთელმა თვითონ იზრუნეს იმისათვის, რომ სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდნილიყვენ.

ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს

გმირული ჟესტით, რომელსაც ასე შეჩვეულია კონტრ-რევოლიუციის ეს გმირი, **ბ-ნმა წერეთელმა** მიმართა წერილით ჩვენ მოძმე პარიზელ ორგანოს, რომელშიც მოითხოვს, რომ „ლ'იუმანიტემ" გამოაქვეყნოს საბუთები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ „აჯანყება" მოწყობილი იყო საზღვარ-გარეთიდან და საზღვარგარეთ მიღებულ ფულებით. საქართველოს გასანთავისუფლებლად მუშაობისაგან თავისუფალ დროს, ბატონი წერეთელი ახლა ცეკვას სწავლობს და როგორც ჩანს, ნაზ ქმნილებათა საზოგადოებაში, მან გმირულ ჟესტების გარდა შეითვისა გულუბრყვილო მორცხვობაც. ჩაფლავებული პოლიტიკოსის ამ კითხვის გაგება სხვანაირად არ შეიძლება. რომ აჯანყება საზღვარ - გარეთიდან იყო მოწყობილი, ეს ხომ აშკარაა: ჯუღელი მთვარიდან კი არ ჩამოფრენილა აჯანყების მოსაწყობად, ის პარიზიდან ჩამოვიდა. გამოგზავნეს ის იმავე ნოე ჟორდანიამ და წერეთელმა. მაგრამ, შესაძლებელია, ბატონი წერეთელი გვეკითხება ჩვენ: სად არის მათი ხაზინების, საზღვარგარეთელი მთავრობების და ბანკირების ბრძანებები? შესაძლებელია ის [illegible] აქვს თუ არა საგანგებო კომისიას ქვითარები იმ ფულის მიღებაზე, რომელიც აჯანყების მეთაურებს გადაეცა უცხოეთიდან? ჩვენ გვესმის ბატონ წერეთელის მღელვარება, მაგრამ ვთხოვთ მას მოიცადოს. რაც დღეს დაფარულია, შესაძლებელია ხვალ აშკარა გახდეს. ჯერ-ჯერობით კი დასაფიქრებლად ჩვენ მოვიყვანთ მას ორ დოკუმენტს. ფრანგ ნავთის მრეწველების ორგანო „კურიერ დეპეტროლ" ოც სექტემბრის ნომერში სწერს:

„პირობები, რომელშიც წარმოიშვა აჯანყება, ის წესი რომლითაც აწოდებდენ ევროპის ცენტრებს აჯანყების მსვლელობის შესახებ, საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ რომ მოძრაობას უზრუნველყოფილი ჰქონდა სერიოზული მატერიალური დახმარება. ჩვენ სავსებით დარწმუნებით მივაჩნია, რომ ეს დახმარება მიდიოდა იმ წრეებიდან, რომლებიც იცავენ მსხვილ ნავთის მრეწველების ინტერესებს უნდა ვიღიაროთ, რომ ეს ცდა წარმოადგენდა უკანასკნელ იმედს ყოფილ რუს მპატრონეებისას, რომლებსაც ქონება ჩამოართვა რევოლიუციამ".

ცოტაა ეს თქვენთვის ბ-ნო წერეთელო? დაიცადეთ ერთი წუთი. „ნიუ-იორკ ტაიმსმა (ჩვენს ხელთ არ არის ნომერი და ამონაწერი მოგვყავს „ნიუ-იორკის სახალხო გაზეთის" 17 სექტემბრის ნომერიდან) მოათავსა დეპეშა პარიზიდან, სადაც ბ-ნი წერეთელი სწავლობს ცეკვას და საიდანაც ზრუნავს ქართველი ხალხის ხსნაზე:

„აქ ყველანი ამტკიცებენ რომ რევოლიუციის ფინანსიურ დახმარებას უწევდენ და ხელმძღვანელობდენ პარიზიდან, სადაც ძლიერი საქმიანი ხალხი (дельцы) მხარს უჭერს საქართველოს ყოფილ მთავრობის წევრების ჯგუფს და ბაქოს ნავთის სამრეწველოების ყოფ. პატრონებს".

როცა ადამიანები სდუმან, ქვები ღაღადებენ და ზოგჯერ ღმერთი ლაპარაკობს. ვირების საშუალებით. რატომ მოხდა ეს, რომ ფრანგ ნავთის მრეწველობის ორგანო და გავლენიანი ამერიკელი გაზეთი, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ამერიკის ნავთის მრეწველთა წრეებთან ასე მატერიალისტურათ, პირდაპირ ნავთის წყაროებით განმარტავს „ქართველი ხალხის" ბრძოლას თავისუფლებისათვის? საქმე ადვილათ აიხსნება. ფრანგ [illegible] მრეწველებს კავშირი აქვთ „სტანდარტ ოილთან". ამერიკის ხელმძღვანელი ბურჟუაზიული ორგანო, რასაკვირველია უფრო ახლო დგას „სტანდარტ ოილთან" ვიდრე ინგლისურ შელლის ჯგუფთან. მაგრამ ბაქოს ნავთის მრეწველობას ზურგს უკან დგას სწორეთ შელლი. გზა ბაქოსკენ მიდის ბათომით, ამიტომ შელლი ასე თავგამოდებით იცავს საქართველოს დამოუკიდებლობას და ამიტომ შელლიმ ბათომ-ბაქოს ნავთსადენის ნაცვლად გაიყვანა პატარა „ფულსადენი" დიდათ პატივცემულ ქართველ ნაციონალურ გმირებამდი პარიზში.

ბატონი წერეთელი ტყუილათ გვაძლევს შეკითხვებს. მას შეუძლია ისეთი პასუხი მიიღოს, რომელიც მას კარგ გუნებაზე არ დააყენებს.

რადეკ.

შრომის ნაყოფიერება საბჭოთა დაწესებულებებში

შრომის ნაყოფიერების გაზრდის საკითხი არ უნდა იქნეს გაგებული განსაზღვრულად. ის არ ამოიწურება მხოლოდ წარმოების ფარგლებში. ზოგს ეს საკითხი ვიწროდ ესმის და როდესაც ლაპარაკობენ შრომის ნაყოფიერებაზე, მხედველობაში აქვთ მხოლოდ წარმოება (ფაბრიკა, ქარხანა), სადაც შრომის პროცესი იძლევა მატერიალურ შედეგებს. შრომის ნაყოფიერების საკითხებზე ასე ცალმხრივად მიდგომა შეცდომა იქნებოდა. შრომის ნაყოფიერების გაზრდის საკითხი ერთნაირად შეეხება როგორც წარმოებას, რომელიც იძლევა მატერიალურ შედეგებს, ისე დაწესებულებას, სადაც მუშაობის შედეგი არა მატერიალურია. როგორც საბჭოთა წარმოება, ისე დაწესებულებაც ერთი მთლიან ორგანიზაციის ნაწილებია. ჯერ-ჯერობით წარმოება უდაწესებულებოთ ვერ იარსებებს, და მით უმეტეს დაწესებულება უწარმოვოთ. თუ რომელიმეში შრომის ნაყოფიერება დაბლა სდგას საერთო შრომის ნაყოფიერებაც დაბალი იქნება. ჩვენი წარმოების შრომის ნაყოფიერების სიმაღლე არ გამოჩნდება, თუ საბჭოთა დაწესებულებებში არაფერი არ კეთდება. ამიტომ შრომის ნაყოფიერების საკითხი დასმული უნდა იქნეს ფართო მნიშვნელობით. ჩვენი პრაქტიკულ ამოცანად უნდა გახდეს, რომ მთელი საბჭოთა ორგანიზაციის ნაწილები, იქნება ეს წარმოება დაწესებულება, კულტურული, განმანათლებელი, ჯანმრთელობის, ადმინისტრაციის და სხვა ამგვარი ორგანოები, ამუშავდენ როგორც რიგია და გაზარდონ შრომის ნაყოფიერება. ყველგან უნდა იქნეს გაორკეცებული მუშაობის ინტენსივობა. ის მუშაობა, რაც აქამდე ტარდებოდა, ერთი-ორად უნდა გაიზარდოს. უნდა გაკეთდეს, რაც შესაძლებელია ეხლანდელ პირობებში. ფუჭად გაცდენილი დრო, ტყუილად მიღებული ხელფასი—ეს ბოროტება არის, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით უნდა ისჯებოდეს. ერთი სიტყვით, მთელი ჩვენი საბჭოთა ორგანიზაცია უნდა ამუშავდეს უფრო მეტი სიჩქარით, მეტი ნაყოფიერებით. გამონაკლისი არ შეიძლება დაშვებული იქნეს არა თუ ცალკე დაწესებულებისა და ორგანიზაციების, არამედ ცალკე პირების მიმართაც, რომლებიც მათში მუშაობენ. პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, ვისთვისაც ეს საჭირო იქნება. „შეგიძლიათ ყველასთან ერთად გაორკეცებით მუშაობა—დარჩით, და თუ ვერა,—ხელს ნუ გვიშლით".

ხათრს და მორიდებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. საქმე ეხება რევოლიუციის სამეურნეო ფრონტზე გამაგრებას. დამარცხება ამ საქმეში ნიშნავს მუშათა კლასის ამოცანების დაღუპვას. აქ ჩვენ უნდა შეუბრალებელი ვიყოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ერთი ორის შებრალებით ჩვენ საერთო საქმეს ვავნებთ.

როგორ უნდა იქნეს დასმული კონკრეტიულად შრომის ნაყოფიერების ან, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, შრომის ინტენსივობის გაზრდის საკითხი საბჭოთა დაწესებულებებში. ბევრი უიმედოდ უცქერის კანტორის და გონებრივი შრომის ნორმებით განსაზღვრას. მათი ფიქრით, კანტორის მუშაობის აღნუსხვა რაიმე განსაზღვრულ ერთეულებად—შეუძლებელია. ასეთი შეხედულება უნდა მიეწეროს კანტორის შრომის პროცესის უცოდინარობას. კანტორის და გონებრივი შრომის ყოველმხრივად გაცნობის შემდეგ, ადვილად დაინახავთ, რომ მათ ნორმის ფარგლებში ჩასმა ძლიერ ადვილია. საჭიროა მხოლოდ თავისებური მიდგომა, ვინაიდან კანტორის შრომის ნორმები და წარმოების მუშაობის ნორმები ერთნაირი არ შეიძლება იქნეს.

აქვე შეიძლება მოვიყვანოთ კანტორის შრომის რამოდენიმე პროფესია, რომლების ნორმაზე გადაყვანა ადვილად შეიძლება. მაგალითად, დავიწყოთ დაწესებულების სულ დაბალ თანამდებობიდან—რეგისტრატურიდან. ამ პროფესიისათვის შეიძლება შემოღებულ იქნას შემოსულ-გასულ ქაღალდების რიცხვის დღიური ნორმა. ასევე შეიძლება ბარათების დამტარებლებისათვის დაწესებულ იქნეს დასარიგებელ ბარათების ნორმალური რიცხვი დღეში.

მემანქანე-გადამწერის ნორმაზე გადაყვანა და ნარდი ხელფასის შემოღებაც შესაძლებელია. მათი ნარდი მუშაობა უწინაც არსებობდა. მემანქანეების ნარდ მუშაობაზე გადაყვანა დიდად გაზრდის მათ შრომის ნაყოფიერებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა დაწესებულებისათვის, ვინაიდან მემანქანეებზე არის დამოკიდებული მიწერ მოწერის დაჩქარება. აქვე უნდა ითქვას, რომ მიზან-შეწონილი იქნება თანდათანობით მემანქანის სხვა თანამდებობასთან შეფარდება, მაგალითად, მემანქანე—საქმისმწარმოებელი, მემანქანე — მდივანი და სხვა. ეს ფრიად შეამცირებს როგორც შავების წერაში დროს დაკარგვას, ისე ბევრ ქაღალდების ხარჯვას. მემანქანე მდივანი პირდაპირ დაბეჭდავს იმას, რაც მდივანმა ქაღალდზე უნდა დასწეროს და შემდეგ მემანქანეს გადასცეს დასაბეჭდად.

შეიძლება აგრეთვე ბუხჰალტერიის თანამშრომლების და მოანგარიშეების ნორმაზე გადაყვანა. საერთოდ კანტორის თითქმის ყველა პროფესიების გადაყვანა ნორმაზე მოსახერხებელია. იქ, სადაც მუშაობა არ გამოიხატება ერთნაირ პროცესში და ნორმის გამოანგარიშება ძნელია, შესაძლებელია სხვა ზომების შემოღება. სულ უბრალო ზომად ყველა გონებრივად მომუშავესათვის, დაწყებული მდივნიდან და ზევით, რომელიც შეიძლება შემოღებულ იყოს, გამოიხატება სამუშაო დღის ბოლოში ქაღალდებზე იმის აღნუსხვაში, თუ რა გააკეთა თანამშრომელმა ამ დღის განმავლობაში. ეს აღნუსხვა მოინდომებს 5 ან 10 წუთის დროს. საბჭოთა დაწესებულებებში ეხლანდელ მუშაობის პირობებში რომ ასეთი აღნუსხვა სწარმოებდეს, ბევრი ქაღალდი, სადაც უნდა აღინიშნოს დღიური მუშაობა—ცარიელი დარჩება, ბევრი თანამშრომელი (როგორც ტეხნიკური, ისე სპეცი და პასუხისმგებელიც) სამუშაო დღის განმავლობაში მიუხედავად იმისა, რომ მათ უხდებათ ენერგიის დახარჯვა ერთ რაიმე დადებითი საქმის გაკეთებას ვერ ახერხებენ. ამას ისინი თვითონაც ვერ ამჩნევენ და სამუშაოს გათავების შემდეგ მიდიან დარწმუნებულნი, რომ მათ ბევრი იმუშავეს. დღიურ მუშაობის აღნუსხვის ფურცლები კი მათ პირდაპირ დაანახვებს რომ ბევრი დრო უნაყოფოდ დაუკარგავთ.

ყოველ დაწესებულებებში შრომის ინტენსივობის გაზრდის კონკრეტიული ზომები შეიძლება ბევრი იქნეს გამონახული, თუ კი ამის სურვილი ექნებათ დაწესებულებების ხელმძღვანელებს.

ტომელი.

მენშევიკური ავანტიურის გამოძახილი უცხოეთში

ნოე ჟორდანიას წერილი. „დახმარება საქართველოსთვის". „როტე ფანე"

⁂

საქართველოში მომხდარ ამბების გადამახინჯებისა და სიცრუის წყარო იყო უმთავრესათ პარიზში მყოფი მენშევიკები, რომლებიც „საქართველოს საზღვრებიდან" მისულ ტყუილებს ავრცელებდენ სენსაციებით მოწყურებულ და ჩვენდამი მტრულათ განწყობილ გაზეთებში. ხოლო ამ ჭორების უმთავრესი „რედაქტორი" იყო პირადათ ნოე ჟორდანია.

ჩვენ გავეცანით „საქართველოს დელეგაციის" ჭორებს. ვნახოთ ახლა რას სწერს პირადათ ჟორდანია.

„ბოლშევიკებმა მიიღეს—სწერს ეს „საქართველოს პრეზიდენტი" ერრიოს გაზ. „კოტიდიან"-ში (17 სექტ.)—**დახმარება ზღვით და გადასხეს ჯარები ბათომში. ეს ჯარები სისხლისმღვრელ რეპრესიებს მიმართავენ მცხოვრებლების წინააღმდეგ: კლავენ მოხუცებს, ქალებს და ბავშვებს. მოკლულებით მოფენილია რკინის გზის ხაზი. სახლებს სწვავენ. ბათომის მიდამოებში მდებარე სოფლები გახვეულია ცეცხლში და გახვრილი სისხლში. ბათომის მთელი მოსახლეობა, რომელსაც კი შეუძლია იარაღის ტარება, ბრძოლაშია ჩართული"**.

ჟორდანია მიმართავს ერრიოს თხოვნით, ჩაერიე საქმეში და შეაჩერებინე ბოლშევიკებს სისხლისღვრაო.

ჩვენ არ ვიცით ჯერ კიდევ რა პასუხი გასცა—თუ კი საზოგადოთ გასცა რაიმე პასუხი — ერრიომ ავანტიურისტს, მაგრამ მაგიერათ ჩვენ ხელთ არის ერთი დეპეშა, რომელსაც მკითხველი ნახავს დღეს ჩვენ გაზეთში. იქ სწერია შემდეგი: **„გაზ. „მატენი" იტყობინება—როგორც უტყუარ ფაქტს, რომ დემონზის კომისია (მთავრობის კომისია) მომხრეა საბჭოთა მთავრობის იურიდიულათ ცნობისა ყოველგვარ წინასწარ პირობების გარეშე"-ო.**

„მატენი", როგორც ცნობილია, არის ქუჩური რეაქციონური გაზეთი, რომელსაც არ უყვარს საბჭოები და ბოლშევიკები. ეს ერთი იმ რეაქციონურ გაზეთთაგანია, რომლის შესახებ ერთი უცხოელი რადიო გადმოგვცემდა გუშინწინ სიტყვა-სიტყვით შემდეგს: **ცნობები საქართველოს ამბების შესახებ სრულიად გაქრენ საფრანგეთის გაზეთის ფურცლებიდან და დღეს (ლაპარაკია 6 ოქტომბერზე. მეპრესე) მხოლოდ ყველაზე უფრო რეაქციონური გაზეთები ბეჭდავენ ცნობებს ეგრედ წოდებულ „საქართველოს მისიისას" ვითომდა სისხლისმღვრელ შეტაკებების შესახებ კახეთში, დაღესტანში, ყუბანის ოლქში და სტავროპოლის ირგვლივ. თვით იმ სოციალისტურმა გაზეთებმაც კი, რომლებიც აწარმოებდენ გააფთრებულ კამპანიას საქართველოს საკითხის გარშემო, არ დაბეჭდეს ეს ამბავი".. *).**

⁂

დამწუხრებულ „საქართველოს პრეზიდენტის" წინაშე ნათესავური მოვალეობა მოიხადა აბრამოვიჩის და დანის ჯგუფმა ბერლინიდან და „სამძიმარი" მოათავსა „ფორვერტს"-ში (17 სექტ.)

ამ გაზეთში (რომელსაც, უნდა ვსთქვათ აქ, მაინცა და მაინც ძალიან არ შეუწუხებია თავი მენშევიკების ავანტიურის დამსხვრევის გამო, რადგან ძუნწათ ათავსებდა ამბებს „ქართველი ერის აჯანყების" შესახებ) დაბეჭდილია „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარ-გარეთელი დელეგაციის" (უფ!) წერილი მყვირალა და სასაცილო სათაურით: „დახმარება საქართველოსთვის". ვიმეორებთ, პირდაპირ ასე სწერია: **„დახმარება საქართველოსთვის"** („Hilfe fur Georgien!").

„დახმარება" გამოიხატება სამოც სტრიქონიან აბდა-უბდა წერილში, რომელიც ადგილის დაზოგვის მოსაზრებით (გერმანელი მენშევიკები ანგარიშს „ხალხია" თვით მონათესავე ქართველ მენშევიკების მიმართაც) აწყობილია პეტიტით და შეიცავს სხვათა შორის ასეთ „სიბრძნეს":—

„საქართველოში იღვრება სისხლი. კომუნისტური რაზმები და წითელი არმიის ნაწილები თავს დაეცენ საქართველოს გლეხებს, მუშებს და ინტელიგენტებს, რომლებიც აღსდგენ ბოლშევიკების ძალადობის წინააღმდეგ... ყველა პატიოსანი სოციალისტები (პატიოსანი სოციალისტები!) და დემოკრატები მთელი მსოფლიოსი, როგორათაც არ უნდა უყურებდენ ისინი აჯანყების ტაქტიკას და შეიარაღებულ ბრძოლას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ **თანამედროვე ისტორიულ პერიოდში**, უნდა დადგენ გადაჭრით და ურყევათ მშვიდობიანი ხალხის (ქართველების) მხარეზე..."

ამ „სამძიმარში" იეზუიტ დანს და აბრამოვიჩს მათ და უნებურათ ერთი სიმართლე წამოსცდათ, რომ „თანამედროვე ისტორიულ პერიოდში" არიან ისეთები. თვით მათი მიმდევრებიდანაც, რომლებიც არ **იზიარებენ საბჭოთა წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყების ტაქტიკას.** შეიძლება ამიტომ ვერ სწერს ბევრს „ფორვერტსიც", რათა არ გამოიწვიოს უკმაყოფილება თვით მის მიმდევარ მუშებში გერმანიაში.

ამ საკითხზე საინტერესო მოსაზრებას გამოსთქვამს გერმანიის კომპარტიის ცენტრალური ორგანო „როტე ფანე", რომელიც სწერს (20 სექტ.) შემდეგს:

„ბურჟუაზიული პრესა და—ჰოი სასწაულო!—თვით „ფორვერტსიც" უარს ამბობენ ბეჭდონ დაწვრილებითი „სამხედრო ანგარიშები" მენშევიკების ავანტიურის შესახებ საქართველოში, ის ანგარიშები, რომლებსაც ყოველ დღე უხვათ აქვეყნებს კერენსკის გაზეთი „დნი". ცხადია მათ ძალიან ეშინიათ იმისი, რომ მკითხველი მასა, მიუხედავათ ამბავის სიშორისა, თანდათან აშკარათ ხედავს მთელ სიყალბეს ამ ცნობებისას".

„ფორვერტსის" რედაქტორები რეალური პოლიტიკოსები არიან!

---

*) აქ უნდა აღვნიშნოთ მკითხველების საყურადღებოთ, რომ საფრანგეთის „სოციალისტურ პარტიას", რომელმაც ასზე მეტი დეპუტატი „შეაგორა" პარლამენტში (არავინ „შეშინდეს"—ეს მოხდა ბურჟუა-რადიკალების დახმარებით!)—ამ პარტიას არ გააჩნია არც ერთი ყოველდღიური გაზეთი. გამოდის ორი თუ სამი ყოველკვირეული ფურცელი პარიზში და ერთიც (ცენტრალური ორგანო) თვეში ერთხელ ოთხ გვერდზე. მაგიერათ ბლიუმ-ფორ-რენოდელებისათვის გზა ხსნილია ბურჟუაზიულ პრესაში, სადაც ისინი სარგებლობენ ფართო სტუმართმოყვარეობით.

ასე „ძლიერია" მენშევიკური სოციალიზმი საფრანგეთის მუშათა შორის!

უკანასკნელი ცნობები

გადამჭრელი მომენტი

ლონდონი. 8 ოქტომბ. პრემიერის გუშინდელი სიტყვიდან გაზეთებს გამოყავთ დასკვნა, რომ მთავრობა არავითარ დათმობაზე არ წავა ლიბერალების მიმართ. კონსერვატორებმა თავის მხრივ გადასწყვიტეს მკაცრად დაიცვან თავისი უნდობლობის რეზოლიუცია. თემთა პალატის სხდომის წინ გამართება პარტიების თათბირი.

კონსერვატორების სახელით ილაპარაკებს ხორნი, იუსტიციის მინისტრი დაუყოვნებლივ გასცემს მას პასუხს.

ამის შემდეგ ჯონ საიმანი წაიკითხავს ლიბერალების შესწორებას და კამათი გაიმართება ამ შესწორების გარშემო. კამათში მონაწილეობას მიიღებენ მაკდონალდი და ტომასი.

იმპერიალისტების ახალი ინტრიგები ჩინეთში.

პეკინი. 8 ოქტომბერი. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის გამგეობის ყოფილი წევრები ოსტროუმოვი, განდატი და მიხაილოვი დააპატიმრეს ჩინელებმა. საფრანგეთის, ამერიკის და ინგლისის წარმომადგენლებმა განაცხადეს პროტესტი და მოითხოვეს მათი განთავისუფლება. ეს ფაქტი იმას ამტკიცებს, რომ ყოფილი გამგეობის წევრები ფაქტიურად იმპერიალისტური სახელმწიფოების სამსახურში იმყოფებოდენ. დაპატიმრებამდი ოსტროუმოვმა საფრანგეთის კონსულს ბევრი საბუთები გადასცა. უცხოეთის კონსულებმა გასტეხეს არქივები, რომ მოეპარათ ზოგიერთი საბუთები.

საბჭოთა დროშები აღმართეს

პეკინი. 8 ოქტ. შანხაიში, კანტონში და [illegible]-ძინში დიდის ზეიმით აღმართეს წითელი დროშები საბჭოთა საკონსულოებზე. შანხაის ზეიმს დაესწრენ ჯარების სარდალი ლიუ-ნა-ლინი და მთავრობისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი

გაზეთი „მატენი" იტყობინება, რომ საფრანგეთი იურიდიულად ცნობს საბჭოთა კავშირს ყოველგვარი წინასწარი პირობების გარეშე

ინგლისის ჯანმრთელობის მინისტრმა განაცხადა: „რუსეთმა მოსპო კაპიტალიზმი, საბჭოთა მთავრობა ავითარებს სამეურნეო რესურსებს მთელი ქვეყნის მუშათა კლასის სასარგებლოდ".

„შეტევა რუსეთზე არის კლასობრივი შეტევა; მუშები აქედან სათანადო დასკვნას გააკეთებენ".

საფრანგეთი არავითარ პირობებს არ მოითხოვს

პარიზი. 7 ოქტომბერი. „მატენ"-ი გადმოგვცემს, როგორც სარწმუნო ფაქტს, რომ დე-მონზის კომისია მოითხოვს საბჭოთა მთავრობის იურიდიულად ცნობას ყოველგვარი წინასწარი პირობების გარეშე.

კლასობრივი ბრძოლის პერიოდი

ლონდონი. 7 ოქტ. ჯანმრთელობის მინისტრმა უიტლიმ სიტყვა წარმოსთქვა ბირმინგამში, რომელშიაც, სხვათა შორის, განაცხადა;

„მე ვფიქრობ, რომ ჩვენ შევდივართ კლასობრივი ბრძოლის პერიოდში. მოგმართავთ თქვენ მოწოდებით—ნუ გამოეთიშებით თქვენი კლასის რიგებს. მე მოვუწოდებ ბირმინგამის მუშებს დასტოვონ ძველი შეხედულება პოლიტიკაზე და გაერთიანდენ, როგორც ერთი კლასის წევრები, იმათ წინააღმდეგ, რომელთაც სურთ მათი დამარცხება, რომლებიც ამ კლასის წევრების.

რუსეთმა დაამხო კაპიტალიზმი. საბჭოთა მთავრობა ავითარებს რუსეთის სამეურნეო რესურსებს როგორც თავისი ქვეყნის მოსახლეობის, ისე მთელი მსოფლიოს მუშების ინტერესების გულისათვის.

მუშათა მთავრობამ რომ მოითხოვა 50 მილ. გირვანქა სტერლინგი რუსეთის გასანადგურებლად, მაშინ ბურჟუაზიული პარტიები კრინტსაც არ დასძრავდენ ახალი არჩევნების შესახებ.

ჩვენს მოწინააღმდეგეებს სურთ ისეთი ზავი რუსეთთან, რომელიც გულისხმობს მის დამორჩილებას დასავლეთის კაპიტალიზმისათვის.

ლონდონი. 7 ოქტომბერი. ლანსბერიმ სიტყვა წარმოსთქვა ლანკაშირში; მანაც იგივე სთქვა, რომ იერიში რუსეთის წინააღმდეგ წარმოადგენს კლასობრივ იერიშსო.

ხელშეკრულება უნდა დამტკიცდეს

ლონდონი. 7 ოქტ. მთავრობის [illegible] ბენ სპურმა განაცხადა საჯარო სიტყვაში, რომ აუცილებელია ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა და ეს კიდეც მოხდება ადრე თუ გვიან. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლიბერალური პარტიის წევრთა მნიშვნელოვანი რაოდენობა მხარს დაუჭერს მთავრობას.

ლოიდ-ჯორჯი უკმაყოფილოა

ლონდონი, 7 ოქტ. ლესტერში წარმოთქმულ სიტყვაში ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა: ორი წლის განმავლობაში მესამე არჩევნების მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ერთი მუჭა ექსტრემისტებმა, რომლებიც ემხრობიან პრემიერს, აიძულეს უკანასკნელი აელო ისეთი გეზი, რომელსაც ის წინად ბოიკოტს უცხადებდა.

ლოიდ-ჯორჯი შეეხო კრიზისის ერთ-ერთ მიზეზს, სახელდობრ კემპბელის გასამართლების შეწყვეტას; მან განაცხადა: „ამ შემთხვევაში პრემიერი ძალიან აჭარბებს თავის უფლებებს, როდესაც ამჯობინებს თავზე მოახვიოს ქვეყანას ხარჯები და უხერხულობანი ახალი არჩევნებისა, ვინემ დასთანხმდეს ამ საკითხის პარლამენტში გარჩევაზე"-ო.

შეეხო რა რუსეთის სესხის საკითხს, ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა. რომ პირდაპირ საოცრებას წარმოადგენს წინადადება, რომელიც მოითხოვს მიეცეს საბჭოთა მთავრობას სესხი იმის გარანტიის მიუღებლად, რომ ფული უკანვე დაგვიბრუნდება.

ლიბერალების მერყევი პოზიცია

ლონდონი. 7 ოქტ. საერთო ნიშნების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ლიბერალები, ალბად, ყოველგვარ დათმობაზე წავლენ, თუნდაც რომ დაცინვის საგნათ გაიხადონ თავი.

ახალი არჩევნების მოლოდინში

მანჩესტერი. 8 ოქტომბერი. ლონდონიდან მიღებული ცნობით, მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა შეურიგებელი პოზიცია დაიკავოს კონსერვატორების და ლიბერალების მიმართ. ინგლისის გაზეთები ამბობენ, რომ თემთა პალატის დათხოვნის შანსები დიდიაო.

პარიზი. 8 ოქტომბერი. „ევრ" არჩევს ინგლისში შექმნილ მდგომარეობას და სწერს, რომ თუ საქმე არჩევნებამდე მივიდა, უკანასკნელი ხელსაყრელი იქნება მუშათა პარტიისათვის.

იმპერიალისტების იმედები გაუცრუვდათ

მოსკოვი. 8 ოქტ. „როსტას" წარმომადგენელთან საუბრის დროს ჩინეთის წარმომადგენელმა საბჭოთა კავშირში ლი-ცია-აომ სთქვა:

„აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საბჭოთა კავშირის და ჩინეთის გაერთიანებულ გამგებლობაში გადასვლა წარმოადგენს უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობის მოვლენას.

31 მაისის ხელშეკრულების სრული განხორციელება, რაც გამოიხატა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის და საელჩოს შენობის საბჭოთა კავშირისათვის გადაცემაში, მოასწავებს იმას, რომ ორი დიდი ერი კვლავ დაუბრუნდენ მშვიდობიან მეგობრულ ურთიერთობას.

31 მაისის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული თანასწორობის და სამართლიანობის პრინციპი ორივე მხარეს მიმართ, უმტკიცებს მთელ ქვეყანას, რომ საბჭოთა კავშირმა სამუდამოდ უარყო ის იმპერიალისტური პოლიტიკა ჩინეთში, რომელიც ითვლებოდა მეფის დიპლომატიის ტრადიციათ. დღეს ვერავითარი ძალა მსოფლიოში ხელს ვერ შეუშლის მჭიდრო პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ურთ-ერთობების აღვითარებას ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

შემდეგ ჩინეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი აზრით სავსებით აცილებულია თავიდან უცხოელების ჩარევა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საკითხის გადაჭრაში. „მთელმა მსოფლიომ იცისო", განაცხადა მან, „ვინ არიან რკინის გზის ბატონ-პატრონები და ამიტომ სასაცილო იქნებოდა ვისიმე მხრივ რაიმე პრეტენზიების განცხადება, გარდა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთისა".

მანჯურიის რკინის-გზის ისტორია

მოსკოვი. 8 ოქტ. როგორც უკვე იყო გამოქვეყნებული, ჩინეთმა გადასცა საბჭოთა კავშირს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა. ამ გზის ისტორია მოკლედ ასეთია:

20 წლის წინად მეფის რუსეთმა, რომელიც სცდილობდა ხელში ჩაეგდო ჩრდილოეთ ჩინეთის ოლქი—მანჯურია, მოისყიდა ჩინელი მოხელეები და მიიღო ნებართვა მანჯურიაზე აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გასაყვანად. ეს გზა თუ მეფის მთავრობის ხელში იქნებოდა, მას შეეძლო ბატონობა მანჯურიაში, როგორც თავის ქვეყანაში.

რევოლუციის შემდეგ გზის ხელში ჩაგდება მოინდომეს საფრანგეთმა, ამერიკამ და იაპონიამ, იმ მიზნით, რათა გამაგრებულიყვნენ ჩრდილოეთ ჩინეთში საბჭოთა კავშირის გვერდით.

საბჭოთა მთავრობამ იმედები გაუცრუვა უცხოეთის მტაცებლებს. 1924 წ. მაისში საბჭოთა მთავრობამ ხელშეკრულება დასდო ჩინეთის მთავრობასთან, რომელ ხელშეკრულების თანახმად ორივე მხარეს ხელში რჩება, გზის მმართველობა თანასწორი უფლებით.

მანჯურიის მმართველმა ჩჟან-ძო-ლინმა, რომელიც ამ ჟამად აწარმოებს ბრძოლას ჩინეთის ცენტრალურ მთავრობის წინააღმდეგ, არ მოისურვა ეცნო ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება და საბჭოთა მთავრობა იძულებული იყო ცალკე მოლაპარაკებოდა ჩჟან-ძო-ლინის ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარების შესახებ.

20 სექტემბერს მიღწეული იქნა ასეთი შეთანხმება ჩჟან-ძო-ლინთან. ჩინეთის ხელისუფლებამ დააპატიმრა რკინის გზის ძველი თეთრგვარდიელების გამგეობა, რომლის ნაცვლად შედგენილი იქნა ახალი გამგეობა 5 ჩინელის და 5 საბჭოთა წარმომადგენლის შემადგენლობით. რკინის გზის უფროსად დაინიშნა კომუნისტი ივანოვი.

შეთანხმება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საკითხში [illegible] კიდევ უფრო განამტკიცებს მეგობრობა ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

ბელორუსიის მშრომელთა ხმა

ვარშავა. 7 ოქტომ. ჟურნალ „იუტრო"-ში დაბეჭდილია საუბარი ბელორუსიის დეპუტატ ტარაშკევიჩთან. შეკითხვაზე, თუ როგორ მოიქცეოდენ ბელორუსები პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ომის წარმოშობის შემთხვევაში. ტარაშკევიჩმა განაცხადა: „ომის შემთხვევაში ბელორუსები უარს იტყოდნენ არსებულ მდგომარეობის დაცვაზე, ბელორუსელ მოსახლეობის ნაწილი გადმოვიდოდა საბჭოთა კავშირის მხარეზე".

საქართველოს ცაკის მესამე სესია

სესიის გახსნა

გუშინ საღამოს სასახლის წითელ დარბაზში 7 ნახ. საათზე ამხ. მიხა ცხაკაიას თავმჯდომარეობით გაიხსნა ს. ს. ცაკის მესამე სესია.

სესიის მიერ დამტკიცებულ იქნა რეგლამენტი და აგრეთვე დღის წესრიგი ცოტაოდენი დამატებით, რომელიც ჩვენ გვქონდა გამოქვეყნებული „კომუნისტში".

ამხ. მიხა ცხაკაიამ თავის მოკლე შესავალ სიტყვაში აღნუსხა ზოგადათ მთავარი პოლიტიკური მომენტები როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი, საქართველოს სინამდვილიდან, რომლებიც გარდაიშალენ ამ უკანასკნელ პერიოდში ს. ს. ცაკის მესამე სესიის შეკრებამდე და დაბოლოს მოუწოდა საქართველოს მშრომელ ხალხის წარმომადგენლებს ენერგიულ და აქტიურ მუშაობისაკენ.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

(მომხსენებელი ამხ. თედო ღლონტი)

ამხანაგებო! სასოფლო-სამეურნეო გადასახადი არა მარტო საბჭოთა საქართველოს, არამედ მთელ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მასშტაბით იჭერს დიდ ადგილს. და ეს ბუნებრივიც არის, რადგან ჩვენი ქვეყანა გლეხური, სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა.

ჩვენ, როდესაც შევუდექით ამ გადასახადის საკითხის განხილვას, სავსებით გვქონდა გათვალისწინებული მისი მნიშვნელობა და ღირებულება. რასაკვირველია, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ამ სასოფლო-სამეურნეო გადასახადების შეკრების დროს არ ჰქონდეს ადგილი ამა თუ იმ ნაკლულევანებას.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი თხოულობს ჩვენი სინამდვილის, კერძოდ ჩვენი ეკონომიურ ცხოვრების დაწვრილებითი შესწავლას. და აი, სწორედ ამ მიზნისათვის ყველა მაზრებში და სოფლებში ჩვენ გავგზავნეთ 350 კაცი.

რაში მდგომარეობს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის პრინციპი?

ყველამ კარგად უწყის, რომ ეს გადასახადი ემსახურება თვით სოფლის ეკონომიური ცხოვრების გაუმჯობესებას. საწარმოო ძალთა აღორძინება-განვითარება,—აი მთავარი დედა-აზრი სასოფლო-სამეურნეო საგადასახადო პოლიტიკისა.

მაგრამ ამასთანავე ხაზგასმით და გარკვევით უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ეს პრინციპი კატეგორიულად თხოულობს ცხოვრებაში იმის გატარებასაც, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ჩატარებული იქნეს გლეხის მოსავლიანობასთან და საგადასახადო უნარიანობასთან შეფარდებით.

ღარიბ, ღატაკ გლეხობას სრულიად არაფერს ვართმევთ. და აი სწორედ ეს არის პროგრესიული გადასახადის პრინციპი, სოციალისტური პრინციპი.

სტიქიური უბედურებით დაზარალებულ გლეხობას ჩვენ არ ვაკისრებთ ამ გადასახადის გამოღებას. რასაკვირველია, თუ მას არ აქვს—მას არაფერი ჩამოერთმევა, იმიტომ რომ ჩვენ გამოვდივართ საწარმოო ძალთა და ჩვენი ეკონომიური ორგანიზმის აღორძინება - განვითარების თვალთსაზრისიდან.

როდესაც ჩვენს წინაშე იდგა საკითხი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის შესახებ, ჩვენს წინაშე დაისვა საკითხი იმის შესახებაც, თუ რამდენის აკრეფა შეიძლებოდა. ამ შემთხვევაში ჩვენ მთლიანად დავეყრდენით საქართველოს ეკონომიკის სინამდვილეზედ. და აი, გამოვდიოდით რა აქედან გადავწყვიტეთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ჩვენ აგვეკრიფა სულ 4.600.000 მანეთი. ამაში შედის ყველა ავტონომიური რესპუბლიკებიც.

ამ თავითვე უნდა მოგახსენოთ და კვლავ ხაზი უნდა გაუსვა იმას, რომ ეს ციფრი არ არის ჩვენი სურვილის შედეგი. არა. ეს ნაყოფი და შედეგია ჩვენი ეკონომიური და კერძოდ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების გამოკვლევების და შეფასებისა.

როგორც თქვენ იცით, ჩვენი სოფლის მეურნეობა თითქმის ასი წლის განმავლობაში რუსეთის ეკონომიკასთან იყო დაკავშირებული. მხოლოდ ამ უკანასკნელ ექვსი წლის განმავლობაში მოხდა დიდი პოლიტიკური აქტი. მაგრამ ეს მომენტი ამ ჟამად ჩვენ არ გვაინტერესებს, ის არ წარმოადგენს ჩვენი მსჯელობის ობიექტს. ჩვენთვის აქ საყურადღებოა მხოლოდ ეკონომიური ფაქტი, ეკონომიური მომენტი.

როგორც ვიცით, მენშევიკები, როცა მათ ჩაიგდეს ხელთ სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება, სრულიად გაიმიჯნენ და გასწყვიტეს ყოველგვარი ხასიათის კავშირი რუსეთთან. მენშევიკები ამბობდნენ, რომ ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური ორიენტაცია ევროპისაკენ არის აღებული და მიმართულიო. და თქვენ კიდეც გახსოვთ, თუ როგორი იყო მათი აქ ბატონობის დროს პოლიტიკური და ეკონომიური ხაზი.

ყველა ჩვენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოთხოვნილება მხოლოდ რუსეთისათვის არის საჭირო. რუსეთის ბაზარზედ შესაძლებელია მხოლოდ მისი რეალიზაცია. ევროპას ჩვენი სასოფლო-სამეურნეო საგნები და პროდუქტები კი არ სჭირია. ჩვენ კარგად გვახსოვს, თუ რა ბედი ეწვია თამბაქოს მენშევიკების ბატონობის დროს, რომლებმაც ეს ნაწარმოები გაგზავნეს ევროპაში რეალიზაციისათვის; თამბაქო სრულიად დალპა, მხოლოდ განადგებაზედ კი ზედმეტი იყო ლაპარაკი.

საჭირო არის გავიხსენოთ დაფნის, მევენახეობის და სხვ. მდგომარეობა, არსებითად და ღრმად დაერწმუნდეთ იმაში, რომ მენშევიკური ბატონობის პერიოდი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისათვის იყო ნგრევის, რღვევის და დაქვეითების ხანა. მხოლოდ ახლა მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. მიზეზი ამისა უმთავრესად კი ის არის, რომ ჩვენ უშუალო ეკონომიურ-პოლიტიკურ კავშირში ვიმყოფებით მეზობელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებთან.

საკმაო არის გადავხედოთ პურეულის, თამბაქოს, ბამბის, ჩაის, ღვინის, მევენახეობის, მეაბრეშუმეობის და სხვა კულტურულ მცენარეულობათა მდგომარეობას, რომ იმ თავითვე შევამჩნიოთ ის, თუ როგორ წინ მივდივართ ჩვენ, თუ როგორი პროგრესი ხდება და თუ როგორ წარმატებებთან და მიღწევებთან გვაქვს საქმე.

მიწად-მოქმედების კომისარიატსაც ამ შემთხვევაში დიდი ღვაწლი მიუძღვის სოფლად მუშაობის საქმეში, რომელმაც აღმოუჩინა გლეხობას დიდი დახმარება სასოფლო-სამეურნეო იარაღების მიწოდებით და სხვა.

ერთი სიტყვით მე ვერ ვნახავ ვერც ერთ მომენტს ინტენსიური კულტურიდან ისეთს, რომ პროგრესი არ ეტყობოდეს მას მის შემდეგ, რაც ჩვენ დაუკავშირდით საბჭოთა რუსეთს.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ არც ერთ დარგში ჩვენ ისე ფართო მასშტაბით არ მივდგომივართ საკითხს, როგორც სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საქმეში.

ვის ვიყენებდით ამ გადასახადის გატარებაში?

სწორედ იმათ, ვინც სავსებით იზიარებდა იმ პრინციპებს, რომლებიც ზევით ჩამოვთვალეთ. მაზრებში ჩვენ გვყავს ისეთი ამხანაგები, რომლებსაც გლეხები სოფლად სავსებით ენდობიან. სასოფლო-სამეურნეო შემკრები კომისიაც უაღრესად ავტორიტეტული არის. აქ ვიყენებდით გლეხკომებს, აგრეთვე პარტიულ აპარატსაც. იმართებოდა მიტინგებიც. პარტიის ცეკამ ამისათვის გამოუშვა ბროშიურა გადასახადების მნიშვნელობის შესახებ.

გადასახადების დროს ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით მოსავლიანობას მაზრების მიხედვით. ამასთანავე მთელი მოსახლეობა დავყავით ცხრა კატეგორიათ. მართალია ეკონომიურმა რევოლუციამ მოგვცა მოსახლეობის გათანაბრება მიწათსარგებლობაში, მიწათ მფლობელობაში, მაგრამ მიუხედავათ ამისა, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გლეხობისათვის სამართლიანად გაწერის პრინციპმა ჩვენ გვაიძულა დაგვეყო მთელი მოსახლეობა ცხრა კატეგორიათ. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, თუ როგორი სიფრთხილით ვეკიდებით ჩვენ ამ გადასახადის შეკრებას. მოსავლიანობის ხარისხით კი ჩვენ დავყავით 11 კატეგორიათ. და ამის შემდეგ მხოლოდ ჩვენ მივუდექით გადასახადების გაწერას.

ავიღოთ აღმოსავლეთი საქართველო.

ახალქალაქის მაზრაზე ჩვენ გვაქვს გაწერილი 449.000 მან., ახალციხეს—249.000 მ., ბორჩალოზე—487.000 მ., გორის მაზრაზე—401.000 მ. დუშეთის—127.000 მან., სიღნაღის—514.000 მ. თელავის—288.000 მან., თბილისის—556.000 მან., სამხრეთ ოსეთზე კი—315.000 მანეთი.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს აქ მდგომარეობა ასეთია: ზუგდიდის მაზრაზედ—192.000 მ., ქუთაისის—318.000 მან., ლეჩხუმის—44.000 მან., ოზურგეთის მაზრაზე—148.000 მ., რაჭაზედ—56.000 მან., სენაკზედ—174.000 მ., შორაპნის—207.000 მ., აჭარაზედ—47.000 მან. აფხაზეთზე—384.000 მ.

ასე რომ დასავლეთ საქართველოზე სულ გაწერილია 1.600.000 მ. ე. ი. 8 პროც., მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოზე კი 3.130.000 მ. ე. ი. 12 პროც. საშუალოდ გამოდის 10 პროც.

ეს გადასახადი სომხეთთან, აზერბეიჯანთან და რუსეთთან შედარებით უფრო შეღავათიანია.

ამასთანავე უნდა ვსთქვა, რომ 100.000 ოჯახი, კომლი ე. ი. 25 პროც. ჩვენ სრულიად გავანთავისუფლეთ გადასახადებისაგან. მაგალითად, კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოში განთავისუფლებულია 32.000 კომლი მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველოში 700.00 მდე კომლი.

მხოლოდ რაც შეეხება ამ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის ვადას, ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს და ეს დაუყოვნებლივ უნდა განვახორციელოთ ცხოვრებაში ამ რიგად: ერთი მესამედი 10 ოქტომბრამდე უნდა მივიღოთ, მეორე ვადა არის 1-ლ ნოემბრამდე, მესამე კი 1-ლ დეკემბრამდე.

ამხ. თედო ღლონტის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ამხ. ამხ.—გიორგაძემ (გორის მაზრიდან), მიხა ცხაკაიამ და დოლიძემ (ოზურგეთის მაზრიდან).

საკითხის დაწვრილებით შესწავლისათვის გამოყოფილ იქნა კომისია 18 კაცისაგან შემდგარი, რომელშიაც შევიდნენ ყველა მაზრების წარმომადგენელნი.

სესიის მეორე დღის სხდომა მოწვეულ იქნა 8 ოქტომბერს დილის 11 საათისათვის.

დახმარება ლენინგრადის მუშებს

წყალდიდობისგან დაზარალებულ ლენინგრადის მუშების დასახმარებლად პროფკავშირთა საბჭოში შემოვიდა:

1) კომუნალურ მეურნეობის კავშირიდან .	5000 მანეთი.
2) ხანძრის მქრობელ რაზმის ადგილკომიდან .	100 მან.
3) პროფკავშირთა ბაღიდან	38 მან. 40 კ.
4) კინო „პალასი"-დან	157 მან. 04 კ.
5) კინო „მინიონი"-დან	278 მან. 75 კ.
სულ.	5917 მან. 19 კ.

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმი.

მენშევიკების ავანტიურა საქართველოში

(ამხ. მიასნიკოვის სიტყვა თბილისის საბჭოს გაფართოებულ პლენუმზე საქ. ცაკის წევრების თანდასწრებით)

მენშევიკური ავანტიურა მსოფლიო იმპერიალიზმის ერთი იერიშთაგანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.—ფრანგი სოციალისტები და მეორე ინტერნაციონალი ხელს უწყობდენ მენშევიკურ ავანტიურას.—ოსმალეთი არ წამოეგო პროვოკაციის ანკესზე.—მენშევიკების და დაშნაკების სოლიდარობა.—ამიერ-კავკასიის მშრომელთა ერთიანი ფრონტი გაერთიანებული კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ.—უნდა გავაძლიეროთ კულტურული და ეკონომიური მუშაობა სოფლათ.—ამიერ-კავკასიის ერების მშრომელთა კავშირი კიდევ უფრო უნდა განვამტკიცოთ.

ამხანაგებო! საქართველოში ამ ერთი თვის წინად მომხდარ ამბებს ჩვენი პრესა და ჩვენი საზოგადოება უკავშირებენ საერთაშორისო მდგომარეობას. ძალიან ხშირად ჩვენ გამოვდივართ იმ დებულებიდან, რომ ევროპის სახელმწიფოები, უმთავრესად საფრანგეთი, თამაშობდენ დიდ როლს ქართველ მენშევიკების აჯანყებაში. და ეს სავსებით გასაგებია.

ამას ჩვენ ვლაპარაკობთ არა საგიტაციო მიზნით, არამედ ეს ამტკიცებს იმას, რომ საქართველოს ამბებს საფუძვლათ უდევს ის საერთაშორისო პირობები, რომლითაც გარშემორტყმულია საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი. რა მოხდა საგულისხმო საერთაშორისო ურთიერთობაში 1924 წლ. ზაფხულის ბოლოში საბჭოთა კავშირისათვის. ჩვენ მოწამენი ვართ ჩინეთის ამბების, ჩვენ დავინახეთ გამოსვლები ჩვენს მეგობარ სახელმწიფოს ავღანისტანის წინააღმდეგ. ჩვენ მოწმენი გავხდით იმ ამბების, რომელსაც ადგილი აქვს ბალკანეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში, სახელდობრ იმ ქვეყნებში, რომლებიც გარს არტყიან ჩვენს საბჭოთა კავშირს.

ყველგან ევროპის სახელმწიფოები მოქმედებენ განსაზღვრული საშუალებით, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლის ძველი მეთოდები არ გამოდგა და საბჭოთა ხელისუფლება სდგას შეურყევლად. უმთავრესად საფრანგეთი და ამერიკა სცდილობენ საბჭოთა რესპუბლიკების განაპირა კუთხეებში შექმნან ისეთი პირობები ჩვენთვის, რომლებმაც ევროპის ბურჟუაზიის თვალსაზრისით, შეიძლება გამარჯვება მოუპოვოს მას საბჭოთა ხელისუფლებაზე და ის, რაც მოხდა საქართველოში წარმოადგენს ერთ-ერთ რგოლს იმ ბრძოლის ჯაჭვში, რომელსაც ევროპის თვითმპყრობელი კაპიტალი აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამხანაგებო, ამ ახალ ბრძოლაში, ანუ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ევროპის კაპიტალის ბრძოლის ამ ახალ საშუალებაში, როგორც ვსთქვი, საფრანგეთის ბურჟუაზია ასრულებს უდიდეს როლს.

საფრანგეთში ჩვენ ვხედავთ ე. წ. მემარცხენე სოციალისტურ მთავრობას, მემარცხენე ბლოკის მთავრობას ერრიოს მეთაურობით. ერრიო მჭიდროთაა დაკავშირებული საფრანგეთის სოციალისტებთან და პირველ ყოვლისა რენოდელთან და ბონკურთან, რომლებიც არიან 2 ინტერნაციონალის მეთაურები.

უშუალოდ საქართველოში მომხდარ ამბების შემდეგ ევროპის (რუსების დ უცხოელების) თეთრგვარდიელთა გაზეთებმა ასტეხეს განგაში იმის შესახებ, რომ საქართველოში ფართო მაშტაბით დაიწყო ქართველ ნაციონალისტების აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომ საქართველოში ყველა მუშები და გლეხები გამოვიდენ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგო.

ჩვენ თუ ავიღებთ რუსეთის თეთრგვარდიელთა გავლენიან გაზეთს „პოსლედნიე ნოვოსტი"-ს, იქ 12 სექტებრის ნომერში წავიკითხავთ შემდეგს: „უცხოეთის გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ქართველმა მეამბოხეებმა დაიკავეს თბილისი, ქუთაისი და ემუქრებიან ბათომსო. შემდეგ, აჯანყება გავრცელდა ჩრდილო-კავკასიაზე, აჯანყებას იქ აქრობს წითელი არმია, რომელიც აჯანყებულთა წინააღმდეგ გამოვიდა. მთიელებმა აჰყარეს რკინის-გზები, ააფეთქეს ხიდები და ქართველებსა და წითელარმიელებს შორის სწარმოებს სასტიკი ბრძოლა. რკინის-გზით მიმოსვლა რუსეთთან შეწყვეტილიაო".

შემდეგ, მე მაქვს სტამბოლიდან მიღებული გაზეთი. მასში სწერენ იმის შესახებ, რომ ოზურგეთიც კი აჯანყებულთა ხელშია, რომ აფხაზეთი აჯანყებულების ხელშია და იგივეა აჭარისტანშიო.

მომყავს მხოლოდ ის ადგილები, რომელიც უსინიდისოთ ამახინჯებს მომხდარ ამბებს. აღარ წავიკითხავ ამბების აღწერას იმ რაიონებში, სადაც ადგილი ჰქონდა მენშევიკების გამოსვლას. აქ ხომ სიცრუეს საზღვარი არ აქვს.

ქვევით, „პოსლედნიე ნოვოსტი" გადმოგვცემს ჟორდანიას უკანასკნელ მიმართვას ერთა ლიგისადმი და ლიგის რეზოლუციას, რომელიც ადასტურებს 1922 წლის 22 სექტემბერს მიღებულ რეზოლუციას.

ეს რეზოლუცია, ამხანაგებო, ეკუთვნის ბონკურის კალამს. ამგვარად ფრანგები და პირველ რიგში სწორედ ფრანგები თამაშობდენ უდიდეს როლს საქართველოს ამბებში. ისინი დაინტერესებული არიან მით, რომ გაზვიადონ საქართველოს ამბები. ჩვენ ვიცით, რომ მენშევიზმის ლიდერები ამჟამად მოკალათებული არიან პარიზში, დაკავშირებული არიან ფრანგ-სოციალისტებთან და თავიანთ კავშირს 2 ინტერნაციონალთან ისინი ანხორციელებენ ამ სოციალისტების საშუალებით. ამ ამბების გამო ისინი მიმართავენ ფრანგ-სოციალისტებს და მათი საშუალებით ერრიოს. ამგვარად, საფრანგეთის მთავრობამ, ფრანგმა სოციალისტებმა და 2 ინტერნაციონალმა შეასრულეს საქართველოს ამბებში სათანადო როლი. ეს ჩვენთვის სავსებით ნათელია და სად მარხია ძაღლის თავი, ესეც აშკარაა ჩინეთის და ავღანისტანის მაგალითები საუკეთესოთ ამტკიცებენ იმას, რომ საფრანგეთი ასრულებდა აქ მთავარ როლს.

მაგრამ საინტერესოა ის გარემოება, რომ ზოგიერთი წრეები უკანასკნელ ამბებს უკავშირებენ ოსმალეთსაც.

ვიტყვი ორიოდე სიტყვას ოსმალეთის შესახებ. სტამბოლის დაშნაკურ გაზეთ „ჩაკატამარტში" მოყვანილია ციტატა ერთ-ერთი ოსმალურ გაზეთ „იგდამი"-დან. ამ წერილში ოსმალეთის ცნობილი პუბლიცისტი ახმედ ჯევდეტი სწერს იმის შესახებ, რომ საქართველოს მაგალითს აზერბეიჯანმაც წაბაძაო. აზერბეიჯანში ვითომ აჯანყდენ მუშები და გლეხები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ეხლა ეს ოსმალური გაზეთი ვითომდა შეწუხებულია იმით, რომ აზერბეიჯანში ბოლშევიკები თავს დაესხენ მათ მოძმე ოსმალებს, ღვრიან აზერბეიჯანლების, თათრის ქალების, ბავშვების უდანაშაულო სისხლს და „იგდამი" ვითომდა მოუწოდებს ოსმალეთს დაეხმაროს აზერბეიჯანს საბჭოთა კავშირის, საბჭოთა ამიერ-კავკასიის, საბჭოთა აზერბეიჯანის წინააღმდეგ.

ჩვენ ამ ცნობაში დავინახეთ ერთგვარი პროვოკაციული გამოსვლა, ვინაიდან საქართველოში მომხდარ ამბების პროცესში უკვე შევეჩვიეთ პროვოკაციულ გამოსვლებს. დღეს საბედნიეროთ მართლდება ჩვენი ეჭვები. ხელთა გვაქვს „როსტას" დეპეშა სტამბოლიდან, რომელშიაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ოსმალური გაზეთი „ვოლონტე", რომელიც ფრანგულ ენაზე გამოდის, ეხება ანტისაბჭოთა კამპანიის ფრანგულ და ინგლისურ პრესაში, რომელიც მიაწერს ოსმალეთს, რომ ის დაინტერესებულია საქართველოში მომხდარ ამბებით და მონაწილეობას იღებს მასში. გაზეთი აცხადებს, რომ ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა თანდათან მტკიცდება. ოსმალეთს არავითარი ზრახვები არ აქვს ამიერ-კავკასიის მიმართ. გაზეთის სიტყვით, ოსმალეთი არ აყვება დასავლეთის იმპერიალისტების პროვოკაციას. გაზეთმა იცის, რომ საქართველოს და სომხეთის აგენტები დასავლეთ-ევროპის კონფერენციებზე ილაშქრებდენ ოსმალეთის წინააღმდეგ რაც შეეხება, გაზეთ „ტანინს" (ეს ძალიან გავლენიანი გაზეთია), იგი აღნიშნავს ინგლისურ ცნობების სიცრუეს საქართველოში მომხდარ ამბების შესახებ და აცხადებს, რომ ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა სრულიად არ შეცვლილა. ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ამავე აზრს გამოსთქვამს ანგორის პრესაც.

ჩვენ თავიდანვე დარწმუნებული ვიყავით, რომ აქ ადგილი ჰქონდა პროვოკაციას, რომ ახალი ოსმალეთი, რომელმაც მეგობრული კავშირი დაიჭირა საბჭოთა რესპუბლიკებთან, ბოლომდის მიიყვანს ამ მეგობრობას. ჩვენ არასოდეს ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ ახალი ოსმალეთის დღევანდელი მთავრობა არ წამოეგება იმპერიალისტურ ევროპის წარმომადგენელთა ანკესზე, რამდენადაც მას კარგად ესმის, რომ ევროპის ბურჟუაზიის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მომავალ თეთრ საქართველოს საშუალებით შეიჭრას ბაქოში, ნავთით მდიდარ ქვეყანაში; ოსმალეთი ამასთანავე დარწმუნებულია, რომ ბაქოს ნავთისაკენ ლტოლვა მოასწავებს თვით ახალ ოსმალეთში შეჭრას და მის დანგრევას სხვა გზებით და სხვა საშუალებით, რადგან მათ ვერ მოახერხეს მისი მოსპობა ინგლისის და საფრანგეთის იარაღით რამდენიმე წლის წინად. ამხანაგებო, მე ვიტყვი, რომ ამ ისტორიაში დამახასიათებელია კიდევ მეორე მხარეც,—უნდა აღინიშნოს კიდევ სომხეთის მენშევიკური პარტიის—სომხეთის თეთრგვარდიელების, დაშნაკელების პარტიის როლიც. როგორც იცით, დაშნაკელებს უცხოეთში აქვთ ბევრი გაზეთები; უკანასკნელ დროს ისინი, რუსეთის თეთრგვარდიელთა გაზეთების მიბაძვით, ძლიერ დაინტერესდენ საქართველოს ამბებით; ყველაზე უფრო დიდი დაშნაკური გაზეთი, რომელიც გამოდის ამერიკაში, რამოდენიმე მოწინავე წერილს უძღვნის „საქართველოში მომხდარ აჯანყებას" (ასეთია ამ წერილების სათაური).

ერთ-ერთ მოწინავე წერილში ეს დაშნაკური გაზეთი „აირენიკ" („სამშობლო") სწერს: „ჩვენ არ შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ ქართველი ხალხის ხელმძღვანელები, ასე შორსმჭვრეტელები, ასე გონიერები, მათთვის ასეთ არახელსაყრელ პირობებში განზრახ დასძრავდენ თავიანთ მასებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რადგანაც ასეთი ნაბიჯის შედეგი ადვილი გასათვალისწინებელია. საქართველოს დემოკრატიის და საქართველოს ძველი მთავრობის წარმომადგენლები სარგებლობენ ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობის ნდობით (ლაპარაკია მენშევიკებზე), ეს წარმომადგენლები ჭკვიანი და სავსებით მომზადებული პოლიტიკური მოღვაწეები არიან (მათ ეკუთვნის ეს ქება). მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ეხლანდელი ამბები საქართველოში წარმოიშვა სტიქიურად ისე, როგორც სომხეთში 1921 წელს".

შემდეგ მოწინავე წერილში ნათქვამია, რომ, ალბად, ქართველი მენშევიკები დამარცხდებიანო, მაგრამ გაზეთის და დაშნაკელების პარტიის მთელი თანაგრძნობა „ქართველი ხალხის" და ქართველი მენშევიკების მხარეზეა. ამ ციტატაში, რომელიც მე წავიკითხეთ, სწორედ, დამახასიათებელია შემდეგი: გაზეთი თითქოს ფიქრობს, რომ მენშევიკები თავის დროზე ვერ გამოვიდენ და ამავე დროს აღნიშნავს, რახან გამოსვლა ფაქტია, ის სტიქიურ ხასიათს ატარებსო; გაზეთი იმასაც გრძნობს, რომ გამოსვლა დამარცხდება, მაგრამ მაინც ფიქრობს, რომ ამ სტიქიურ გამოსვლას მტკიცე ნიადაგი აქვს.

თქვენ ალბად იცით, 1921 წლის თებერვალში დაშნაკელები უარყოფდენ იმას, რომ ისინი, როგორც პარტია, მონაწილეობას ღებულობდენ საბჭოთა სომხეთის მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობაში. ისინი ამბობდენ, რომ ხალხი თვითონ გამოვიდა და შემდეგ ამან აიძულა დაშნაკელების პარტიაც გამოსულიყოო.

ასეთივე ლოღიკაა ამ მოწინავე წერილში; თუმცაღა დაშნაკელები თითქოს აღიარებენ, რომ ქართველ მენშევიკების გამოსვლა ნაადრევია, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ ამ გამოსვლას აქვს ფართო „სახალხო" ხასიათი, რომ დადგა დრო, როდესაც ქართველმა ხალხმა იარაღით უნდა გადასწყვიტოს თავისი ბედიო. შემდეგ წერილში ნათქვამია, რომ ბოლშევიკებს არ სჩვევიათ ხელისუფლების საკითხების უიარაღოდ გადაჭრა, ისე, როგორც ეს ხდება ამერიკაში, სადაც ერთი პრეზიდენტი უიარაღოდ სცვლის მეორესო.

შემდეგ მოინავე მიუთითებს იმაზე, რომ თითეული წვრილი ერი, ისევე როგორც ქართველი ხალხი, იარაღით ხელში უნდა გამოვიდეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგო.

ჩვენთვის გასაგებია, რომ დაშნაკელები ამ საკითხში სავსებით ეთანხმებიან მენშევიკებს. მართალია, მათ მენშევიკების გამოსვლის წინ არ გაუმართავთ დაშნაკელების, მუსავატელების და მენშევიკების კონფერენცია უცხოეთში, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლუციის სამი მთავარი ელემენტები ეხლა უფრო მჭიდროდ გაერთიანდენ: ეჭვს გარეშე აგრეთვე, რომ აქ, კავკასიაში საქართველოს ამბების გამო ჩვენს წინააღმდეგ გამართული იყო ამიერ - კავკასიის კონტრ-რევოლუციის მთლიანი ფრონტი. და აი ამ მთლიან ფრონტს ჩვენ დავუპირისპირეთ ჩვენი მთლიანი ფრონტი, ჩვენი საბჭოთა, კომუნისტური, მუშურ-გლეხური მთლიანი ფრონტი.

და ეხლა ჩვენ ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია საქართველოს ამბების შემდეგ ასეთივე ამბები მოხდეს აზერბეიჯანშიაც და სომხეთშიაც. ეს საკითხი აშკარად უნდა დაისვას, ჩვენ პირდაპირ უნდა განვუცხადოთ ჩვენს კონტრ-რევოლუციონერ პარტიებს, რომ მათ შორის არის წინასწარი შეთანხმება. ტყუილად კი არ სწერდენ უცხოეთის გაზეთები, რომ აზერბეიჯანში გამოდიოდენ ბაქოს მუშები და აზერბეიჯანელი გლეხებიო.

ავანტიურის დროს ჩვენი ფრონტი ამიერ-კავკასიის მასშტაბით აღმოჩნდა მთლიანი და შეურყეველი. აქ არ შედრკა კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება.

მე მინდა აღვნიშნო, რომ მენშევიკურ ავანტიურის ლიკვიდაცია 3—4 დღის განმავლობაში და სრული მშვიდობიანობის ჩამოგდება როგორც საქართველოში, ისე ამიერ-კავკასიაშიაც, ჩვენ შევსძელით იმ კავშირის შემწეობით, რომელიც დამყარდა რამოდენიმე წლის წინეთ ქართველ, სომეხ და აზერბეიჯანელ მუშათა და გლეხთა შორის და სწორეთ იმ ამიერ-კავკასიის ფედერაციისა და ეროვნულ მშვიდობიანობის საშუალებით, რომლის შესახებ აქ ილაპარაკა ამხ. ფილიპე მახარაძემ. არც ერთ მუშას და გლეხს ეჭვი არ შეაქვს იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება ცოცხალი და მტკიცეა და რომ მომავალში საჭიროა მისი გამაგრება, გაძლიერება, რათა მშრომელ ელემენტების ეროვნული კავშირი და კეთილდღეობა კიდევ მეტად განმტკიცდეს.

მაგრამ მაინც, ამხანაგებო, ამ ამბებმა საბჭოთა საქართველოს ზიანი მოუტანეს, მას იარები გაუჩნდა.

დასავლეთ საქართველომ, რომელშიაც უმთავრესად ჰქონდა ადგილი ამ ამბებს, განსაკუთრებით განიცადა გაჭირვება და მწარე დღეები. მაგრამ სამაგიეროდ აღმოსავლეთ საქართველოში ჩვენ სხვა სურათი გადაგვეშალა. თუ დასავლეთ საქართველოში ადგილი ჰქონდა ამბოხებას, ბანდიტურ ელემენტებისა და წინეთ მებატონე კლასების მოძრაობას გლეხობის წინააღმდეგ, სამაგიეროთ აღმოსავლეთ საქართველოში მოხდა სრულიად წინააღმდეგი. აქ უკვე გლეხობა ამოძრავდა ყოფილ თავად-აზნაურთა წინააღმდეგ.

რამოდენიმე დღის წინეთ ჩვენ გვესტუმრენ უცხოელი კორესპონდენტები. მათ მოიარეს კახეთი, რათა გაეცნოთ გლეხთა მოძრაობასთან დაკავშირებული მდგომარეობა. გუშინ ისინი თბილისში დაბრუნდნენ ისეთი შთაბეჭდილებით, რომ ასეთი მოძრაობა შეიძლება წარმოშობილიყო გლეხთა შორის მემამულეთადმი მწვავე და უდიდეს კლასობრივ სიძულვილის ნიადაგზე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უცხოეთის გაზეთები ამას ახსნიან კომუნისტურ პარტიის ოინებით, მაგრამ ამ კორესპონდენტებმა, რომლებიც სრულიადაც არ არიან ჩვენი მომხრენი და რომლებსაც კავშირი აქვთ ამერიკისა და გერმანიის ბურჟუაზიულ პრესასთან, საკუთარი თვალით დაინახეს აღშფოთება ქართველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება

მენშევიკური ავანტიურის შესახებ*)

მენშევიკების ზღაპრები

ამხანაგებო! თქვენ უკვე იცით, რაც მოხდა ამ ერთი თვის წინად საქართველოში. ეხლა შეიძლება უკვე უფრო მოფიქრებით, უფრო დამჯდარად გავაშუქოთ ის ამბები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ.

თქვენ იცით, რომ ჩვენი ასე თუ ისე დაწყნარებული ცხოვრების დარღვევა ერთხელ კიდევ მოინდომეს ჩვენმა მტრებმა. დაიღვარა სისხლი და მრავალი სამწუხარო ამბები მოხდა. მიზეზი ამისა იყო, თქვენ კარგად იცით, მენშევიკების მიერ მოწყობილი ეგრედ წოდებული „აჯანყება".

რაშია საქმე?

თითქმის სამნახევარი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში მენშევიკური ხელისუფლება დაეცა. ყველას ეგონა რომ ახალი რამე მახის იმათგან მოწყობა შეუძლებელი იყო. ამხანაგებო, რაც ამ ერთი თვის წინად მოხდა, ამას მჭიდრო კავშირი აქვს მენშევიკურ მთავრობის უკანასკნელ ხანასთან. თქვენ კარგად იცით, რომ მენშევიკები მაშინ ამბობდენ, რომ ჩვენ გარეშე ძალამ დაგვცაო, თორემ საქართველოს ხალხის დიდი უმრავლესობა ჩვენ მხარეზე იყოო. აი ეს ზღაპარი, რომელსაც ისინი ავრცელებდენ. ეს ზღაპარი დღეს მართლა რომ ზღაპარი შეიქმნა.

მართლა უჭერდა მენშევიკურ მთავრობას ხალხის დიდი უმრავლესობა მხარს თუ ეს მენშევიკების ჭორი იყო? მე ვამბობ, ამხანაგებო, რომ ცოტა ოდნათ თუ გადავავლებთ თვალს მენშევიკების მოქმედებას მაშინ, როდესაც ისინი სათავეში უდგენ ხალხს, გავიგებთ ნათლად: შეიძლებოდა თუ არა ხალხის დიდ უმრავლესობას დაეჭირა მხარი მათთვის?

საქართველო, რუსეთი და მენშევიკები

მე მივაქცევ თქვენს ყურადღებას მხოლოდ რამოდენიმე ფაქტს.

თქვენ კარგად იცით, რომ საქართველო მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში რუსეთთან იყო დაკავშირებული. მართალია, ჩვენ ყველანი ვიწნიხებოდით რუსეთის თვითმპყრობელობის უღელ ქვეშ, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენი ხალხი, ჩვენი გლეხკაცობა, **მეტად მჭიდროთ იყო დაკავშირებული რუსეთის ხალხთან**, ეკონომიურად და სულიერადაც. ეს არაა გამოგონილი ამბავი, მოჭორილი, ეს ფაქტია, რომ ასე თუ ისე ქართველი ხალხი უფრო ეთვისებოდა რუსეთის ხალხს, ვინემ სხვა რომელიმე მეზობლებს, ოსმალეთს ან სპარსეთს. ხალხმა შეიგნო ეს კავშირი. ჩვენ იქიდან ვღებულობდით უმთავრეს საგნებს და აქედანაც გადიოდა სხვადასხვა საგნები.

მენშევიკებმა მოსჭრეს ეს კავშირი ერთი დაკვრით.

თქვენ კარგათ იცით, თუ რას გამოიწვევდა ეს ხალხში, განსაკუთრებით გლეხკაცობაში; ამ აქტმა გამოიწვია დრტვინვა და უკმაყოფილება. მაგრამ მენშევიკები არაფერს არ უწევდნენ ანგარიშს გარდა თავისი ჟინიანობისა, ვინაიდან რუსეთში მაშინ არსებობდა საბჭოთა ხელისუფლება ბოლშევიკების მეთაურობით.

მიწის საკითხი და მენშევიკები

მეორე ფაქტი, ეს გახლავთ **მიწის საკითხი**. ჩვენი გლეხკაცობისათვის განსაკუთრებით ეს შეადგენდა არსებითი საგანს. მერე რას ვხედავთ. როგორ მოეპყრენ მენშევიკები ამ საკითხს? როგორც კი მოევლინენ ქვეყანას სათავეში, მაშინვე წავიდნენ გლეხების წინააღმდეგ.

ჩვენი გლეხკაცობა, თქვენ იცით, რომ 1903 წლიდან თხოულობდა მიწების ჩამორთმევას მემამულეებისაგან. მენშევიკები კი, როგორც კი მათ იხელთეს და ჩაიგდეს ხელში ძალა-უფლება, მაშინვე შეუდგნენ გლეხების აწიოკებას, იმ გლეხების, რომელნიც თავის რევოლიუციონური მოქმედებით ართმევდნენ მემამულეებს მიწებს—ეს იყო 1917—1918 და 1919 წლებში. მენშევიკები გამოვიდნენ ერთგულნი დამცველნი მემამულეებისა. ეს უტყუარი ფაქტებია, გლეხობამ ეს კარგათ იცის, ჩაწერილია ისტორიაში. გლეხობის აჯანყებები მენშევიკურ მთავრობის დროს იყო ქართლში, სამხრეთ ოსეთში, კახეთში, სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმში. ეს ყველა აჯანყებები დამყარებული იყო უმთავრესად მიწის ჩამორთმევის ნიადაგზე: გლეხები ართმევდნენ მემამულეებს მიწას, მენშევიკები კი უბრუნებდნენ მემამულეებს ამ მიწას და მემამულეების გულის მოსაგებათ ისინი ხვრეტდენ და აწიოკებდნენ გლეხობას.

მაშასადამე, შესაძლებელი იყო თუ არა გლეხობა კმაყოფილი ყოფილიყო მენშევიკურ მთავრობით? ეს ყოვლად შეუძლებელი იყო და ამას ამტკიცებს კიდეც მთელი რიგი აჯანყებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა როგორც ვთქვით საქართველოში მენშევიკების დროს.

მართალია, მენშევიკები ბოლოს გამოფხიზლდენ, ნოე ჟორდანიამ სთქვა: რა დაგვემართა გლეხებისთვის არაფერი მიგვიციაო და ამის შემდეგ მოჩმახეს ერთნაირი აგრარული „რეფორმა", რომლითაც იმათ დააკმაყოფილეს მემამულეები სავსებით და გლეხობას კი გადაუგდეს რაღაც ფიჩხი და ისიც ფულზე შეძენით. გლეხებს ეს მიწები უნდა შეეძინათ ფულით და ამავე დროს მემამულეებს უზრუნველყოფდენ ისეთი მიწის ნორმით რომელიც მათ აკმაყოფილებდა სავსებით. მე თქვენ ციფრებს არ მოგიყვანთ. ვისაც ეს აინტერესებს შეუძლიან გაიგოს ჩვენი ნაწერებიდან.

გლეხები უკმაყოფილონი დარჩნენ ამ რეფორმით.

მუშათა საკითხი და მენშევიკები

მაგრამ თქვენ იკითხავთ—თუ გლეხობას ასე უსინდისოთ მოექცენ შესაძლებელია ქალაქის მუშა ხალხი იყო იმათი კმაყოფილი? მართალი უნდა ვსთქვათ, რომ ქალაქის მუშა ხალხი, განსაკუთრებით ტფილისის მუშები თავის უმრავლესობაში ერთხანს უჭერდენ მხარს მენშევიკებს. ეს მხარის დაჭერა იქამდე მიდიოდა, რომ აქაურ ტფილისის მუშებს მენშევიკები გზავნიდენ გლეხების აჯანყებების ჩასაქრობათ, იმ გლეხების, რომელნიც თხოულობდენ მიწების ჩამორთმევას მემამულეებისაგან და საბჭოთა ხელისუფლების დაარსებას. მენშევიკები ჯუღელის და სხვების მეთაურობით გლეხებს აწიოკებდენ და სასტიკად სჯიდნენ—ხვრეტდნენ. აი სწორეთ ეს მუშები, წარმოიდგინეთ თქვენ, ასე ბრმათ ენდობოდნენ მენშევიკებს და იმათ გავლენის ქვეშ იმყოფებოდენ. მაგრამ მენშევიკები რომ მთავრობას შეადგენდნენ, მენშევიკები ხომ საციალისტები იყვნენ მუშურ პარტიის წარმომადგენლნი, ყოველ შემთხვევაში ასე ეძახდნენ თავიანთ თავს. მაგრამ რა მისცეს მუშებს მენშევიკებმა? ერთი სახლი [illegible] გადაუცია იმათ მუშებისათვის. მუშები განაგრძნობდნენ ისეთივე ცხოვრებას, ისეთივე მდგომარეობაში იყვნენ როგორც მეფის დროს. არავითარი გაუმჯობესება მათი მდგომარეობაში, არავითარი ნიშანი იმისა, რომ სახელმწიფოს მუშათა პარტია ედგა სათავეში არ ეტყობოდა, მაგრამ ყოველივეს თავისი ბოლო აქვს. შეუძლებელი იყო ასეთი მდგომარეობა გაგრძელებულიყო. მუშები თანდათან ერკვეოდენ, განსაკუთრებით ტფილისის მუშები. ყოველივე ეს შეუსაბამო და შეუფერებელი იყო: ერთის მხრით თითქო მუშების პარტია სახელმწიფოს სათავეში და მეორეს მხრივ ისეთივე მდგომარეობა როგორც მეფობის დროს. არავითარი გაუმჯობესება, არც ხელფასის მხრით, არც სხვა რამით. მუშების მდგომარეობა სულ უფრო და უფრო ეცემოდა. ამას მოწმობს აუარებელი ფაქტები; თუ გექნებათ სურვილი და საშუალება, გადაათვალიერეთ მენშევიკების იმ დროინდელი გაზეთები, განსაკუთრებით 1920 წლის მიწიურულში. იქ გაისმოდა დაუსრულებელი მოთქმა-გოდება პროფკავშირების მხრით, რომ ყოვლად შეუძლებელი ხდებოდა ცხოვრება.

აი ამხანაგებო, შესაძლებელია გვითხრათ, რომ თუ მუშათა კლასი შეგნებული იყო, რატომ არ დასცა მან მენშევიკური მთავრობაო.

გიპასუხებთ: თუ ეს არ ხდებოდა, ეს მოხდებოდა აუცილებლად, მუშებში იზრდებოდა უკმაყოფილება, რაც გამოიხატა პროფკავშირების ორგანიზაციების გადმოსვლაში ბოლშევიკურ პლატფორმაზე.

მენშევიკები და ეროვნული უმცირესობა

გადავიდეთ ახლა საქართველოში მცხოვრებ ერებზე. რაგვარ პოლიტიკას აწარმოებდენ მენშევიკები იმ სხვადასხვა ეროვნებათა მიმართ, რომელნიც საქართველოში ცხოვრობდნენ და დღესაც ცხოვრობენ. ეს სხვა ერები, რომლებიც სცხოვრობენ საქართველოში წარმოადგენენ თითქმის [illegible]0 პროც. მთელს მცხოვრებლებისა.

რა მოხდა მენშევიკების დროს?

მოხდა ის, რაც არ მომხდარა საქართველოს ისტორიაში არასოდეს. ეს ის, რომ ყველა ამ ხალხთა შორის—ერთის მხრივ და ქართველებს შორის—მეორეს მხრივ ჩაითესა უდიდესი უთანხმოება, მტრობა და ქიშპობა. მენშევიკები შეიქმნენ სწორედ იმ დიდი ხალხის წარმომადგენლები, როგორც წინათ ველიკორუსები იყვნენ საქართველოში. სწორეთ იმავე როლს თამაშობდნენ, რომელსაც თამაშობდნენ ველიკორუსები საქართველოს ხალხის მიმართ. არც ერთ ხალხს გასაქანს არ აძლევდენ. უბრალო უფლება ხალხისა თავის ენაზე სკოლის ქონება ან მიწერა-მოწერის გამართვა არ შეიძლებოდა. აბა რაიმე თვითმართველობაზე ხომ ლაპარაკიც შეუძლებელი იყო.

ამ ნიადაგზე ქართველ ხალხს გადაემტერენ ის ერები, რომლებიც რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში მშვიდობიანათ და ძმურად ცხოვრობენ საქართველოში. ესენი იყვნენ ოსები, აჭარლები (ტომით ქართველები სარწმუნოებით მუსულმანები), ასეთივე იყვნენ სომხები, აფხაზები და სხვა.

თქვენ შეიძლება გახსოვდეთ, რომ ყველა ამ ერებთან მენშევიკებს ჰქონდათ ნამდვილი საომარი განწყობილება. პატარა ოსეთი რამდენჯერმე იყო გადამწვარი და აწიოკებული. ასევე ემართებოდა აჭარას, აფხაზეთს, იქ ყველგან ქართველი ჯარი იდგა და შტიკით იმორჩილებდა ხალხს. მაგრამ ომის სუნი მუდამ იდგა. აღელვება ამ ერებში, იმ ზომამდე მივიდა, რომ სისხლის მღვრელი ომები იყო გამართული. ჩვენ გვახსოვს, რომ აჭარა ძველი ქართველის სახელის გაგონებას ვერ ითმენდა, არა თუ მასთან რაიმე საქმის დაჭერას. ასევე იყო აფხაზეთში, სომხეთში და ყველა წვრილი ერები ამისთანა მდგომარეობას განიცდიდენ. მთელი აფხაზეთი, აჭარა, ოსეთი ერთსულოვნათ როგორც ერთი კაცი იდგნენ ქართველ ხალხის, ე. ი. მენშევიკების წინააღმდეგ. ქართველი ხალხი და მენშევიკი იმათთვის ერთიდაიგივე იყო. გარჩევა არ იყო და მთელი თავისი სიძულვილი მენშევიკების მიმართ გადაჰქონდათ ქართველ ხალხზე. ეს არის ფაქტები ამოღებული ისტორიიდან.

მაგრამ მენშევიკებს ჰქონდათ უკმაყოფილება ერთმანეთშიაც.

თქვენ იცით, რომ სხიველების პარტია მენშევიკების ერთი ფრთა იყო და მათ შორის მუდამ განხეთქილება იყო.

რა პარტიები იყვნენ მაშინ საქართველოში? იმათში უმთავრესი იყო მხოლოდ **კომუნისტური პარტია**. ის გამოცხადებული იყო კანონს გარეშე. მიუხედავად ამისა ეს პარტია თანდათან და ყოველ დღიურად იზრდებოდა.

რატომ?

იმისთვის, რომ ის იკრებდა თავის გარშემო უკმაყოფილო ელემენტებს განსაკუთრებით მუშებს, გლეხებს და ამავე დროს მცირე ერებს, იმისთვის რომ ჩვენი პროგრამა სწორეთ იმათ მოთხოვნილებებს გამოხატავდა.

ამავე დროს მენშევიკებს სხვა რესპუბლიკებთანაც გამწვავებული ჰქონდა დამოკიდებულება.

ომი სომხებთან, ომი აზერბეიჯანთან, და ომი შიგნით ყველა პატარა ერებთან. აი მდგომარეობა. გარდა ამისა გადაკიდებული გლეხკაცობა და აგრეთვე უკმაყოფილების თესლი, რომელიც თანდათან იკიდებდა ფესვს მუშათა კლასში.

განა შესაძლებელი იყო ასეთი მთავრობის არსებობა? ცხოვრება საქართველოში შეუძლებელი შეიქნა, ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად შეუძლებელი იყო. ქართველი ხალხი, თითქმის ყველა, იარაღ ქვეშ იდგა. ან სახალხო გვარდიაში, ან მუდმივ ჯარში. განა ამას გადაიტანდა მენშევიკების სახელმწიფო? მართალია, მათ პირდებოდენ ევროპიდან სესხს და სხვა რამეს, მაგრამ ეს არ იხსნიდა მდგომარეობას, და მოხდა ის რაც უნდა მომხდარიყო.

ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ

ჯერ კიდევ 18, 19 და 20 წლის დასაწყისში ქართველი გლეხკაცობა და მუშათა კლასი ცდილობდა მენშევიკების გადმოგდებას, ეს ცდა ძვირად დაგვიჯდა, ბევრი ამხანაგი გლეხი და მუშა იქნა დაკარგული ამ ბრძოლაში. მაგრამ უნდა იცოდეთ რომ ჩვენ, ამხანაგებო, ვიყავით აქ საშინელ ბრჭყალებში. ერთი მხრით მენშევიკების მთავრობა და მეორე მხრით კაპიტალისტურ ევროპის ჯარები. რა თქმა უნდა რომ ასეთ პირობებში ჩვენ პარტიას რაც უნდა დიდი ძალა ქონოდა შეუძლებელი იყო მიეღწია მიზანს დაუხმარებლად. ეს დახმარება ჩვენ მოგვივიდა მხოლოდ 21 წელში. მენშევიკებმა დაიხვიეს ხელზე სწორეთ მარტო ეს ერთი გარემოება და გაჰყვიროდენ ყველგან, რომ „რუსეთმა დაიპყრო საქართველო, მოსპო დამოუკიდებლობა" რა ნაირი იყო ეს „დამოუკიდებლობა" მენშევიკების დროს? ჩვენ ბევრჯელ გვითქვამს. ამხანაგებო, კრებებზე რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ დამოუკიდებლობას. ეს დამოუკიდებლობა არ იყო ქართველი ხალხის. ეს იყო დამოუკიდებლობა თავად აზნაურობის, მემამულეების და კაპიტალისტების როგორც შინაური ისე გარეული, და კიდევ სამღვდელოების. უნდა ვსთქვათ რომ ამათ დამოუკიდებლობას მართლაც ქონდა ადგილი, მაგრამ მუშათა კლასს, გლეხებს და მცირე ერებს, რომელნიც ჩვენში ცხოვრობენ არავითარი დამოუკიდებლობა არ ქონდით.

მენშევიკებს მხოლოდ თავისთვის უნდოდათ ეროვნული თვითგამორკვევის უფლება.

არც ოსს, არც აფხაზს, არც სომეხს ამის უფლება არ უნდა ქონოდა. აი, ამხანაგებო, როგორი იყო დამოუკიდებლობა.

მე ვამბობ დარწმუნებით რომ აქ ხალხის დამოუკიდებლობა არ ყოფილა.

მაგრამ შეიქმნა ისეთი ზღაპარი, ლეგენდა, რომ რუსეთი შემოვიდა აქ, დაიპყრო საქართველო და გადააქცია თავის გუბერნიათო.

როდესაც მენშევიკები აიბარგენ აქედან, ქონდათ ჩვენგან წინადადება, რომ დარჩენილიყვენ აქ და ჩვენ მათ განსაზღვრულ პირობებში არ შევეხებოდით, მაგრამ ეს იმათ არ მოისურვეს, გაახიბაკეს რაც მოხვდათ ხელში და ამ სიმდიდრით გაემგზავრენ ევროპაში. ევროპაში გაემგზავრენ რა თქმა უნდა მენშევიკების მეთაურები, მთელი მასსა კი მათი აქ დარჩა.

რა ტაქტიკას დაადგენ ისინი?

ისინი დაადგენ თავიდანვე შემდეგ ტაქტიკას: ავრცელებდენ ყოველგვარ პროვოკაციას, ცილის წამებას ხალხში ბოლშევიკების წინააღმდეგ. ბოლშევიკები არიან მხეცები, ხალხის მჭამელები, რომ ისინი ანადგურებენ ყველაფერს, სტაცებენ ყველაფერს ვისაც რა აქვს, თითქმის პერანგს, ქათამსაც კი მოსტაცებენ თუ სხვა არაფერი აქვსო. შეუძლებელ ატმოსფერას ჰქმნიდენ.

მაგრამ მიუხედავათ ამისა, ხალხი, თან და თან რწმუნდებოდა, რომ ეს მართლაც ცილის წამება ყოფილა; გავიდა ცოტა ხანი, ერთი წელიწადი, მენშევიკებმა იფიქრეს რომ ამ ოინებმა აღარ გასჭრა, ხალხი ხედავს რომ ბოლშევიკური საბჭოთა ხელისუფლება ასე თუ ისე ხალხის არის, ასე თუ ისე ხალხს ეხმარება, ასრულებენ რასაც ამბობდენ მუშებისათვის, და გლეხებისათვის. კერძოთ მიწები გადაეცა გლეხობას და სხვადასხვა.

ამიტომ სხვა ნაირი ტაქტიკა შეიქმნა საჭირო. **ეს იყო შეიარაღებული აჯანყება.**

აჯანყების მზადება

ამ საქმეს შეუდგენ ერთი წლის შემდეგ, რაც აქედან გადაბარგდენ. დღეს ყველაფერი გამოაშკარავებულია, ყველაფერი გამოტანილია მზეზე ის, რასაც ამ ორი ნახევარი წლის განმავლობაში მენშევიკები და სხვა პარტიები, რომელნიც მათთან შეკავშირებულნი არიან ამ საქმეში, აკეთებდენ. აქამდე ჩვენ მხოლოდ ვიცოდით ის რომ ისინი ეწეოდენ მუშაობას, ავრცელებდენ ჭორებს ევროპაში, აქაც რამდენათ შესაძლებელი იყო, მაგრამ ჩვენ არ ვიცოდით მთელი ამ საქმის მიმდინარეობა. ეს დღეს გამოაშკარავდა.

ჩვენ ვიცით რომ **1922** წლის ზაფხულში საქართველოს ეწვია ცნობილი **ნოე ხომერიკი**. ნოე ხომერიკი იყო გამოგზავნილი მენშევიკებისა და სხვა პარტიების ბიუროს დავალებით საზღვარ გარეთიდან, რომ იმას დაეწყო მზადება საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობათ.

მაგრამ რა უნდა დაედვა საფუძვლათ ამ აჯანყებისათვის?

ჰქონდა თუ არა მას რაიმე პროგრამა, პრინციპიალური პროგრამა?

ყველა პარტიას აქვს წამოყენებული ასეთ შემთხვევებში მოთხოვნილებები, პროგრამები.

ჰქონდათ თუ არა ასეთი პროგრამა მენშევიკებს და თუ ქონდა ვის ინტერესებს გამოხატავდა ის?

მენშევიკები გვეუბნებიან რომ ჩვენ საქართველოს განთავისუფლება გვინდოდაო. აი ამ ნიადაგზე მოხდა შეკავშირება სხვა და სხვა პარტიების. რომელი იყვნენ ეს პარტიები. ესენი იყვნენ გარდა მენშევიკებისა: ნაციონალ-დემოკრატები, ე. ი. ჩოლოყაშვილის პარტია ანუ მემამულეების, კაპიტალისტების და ბურჟუაზიის პარტია; შემდეგი პარტია იყო ეგრედ წოდებული მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტების პარტია, აქვე შედიოდენ მემარჯვენე ს.-რევოლიუციონერები, იმათ შეუერთდენ სხიველებიც—სხივისტები. თუმცა ეს უკანასკნელები არ წარმოადგენდენ ცალკე პარტიას, მაგრამ როგორც სჩანს მაინც ცალკე ჯგუფათ შევიდენ პარიტეტულ კომიტეტში. თითო წარმომადგენელი ყველამ გაგზავნა და პარტიები შეთანხმდენ იმაში, რომ როცა ძალა-უფლებას ჩაიგდებდენ ხელში, მთავრობა იქნებოდა კოალიციონური ე. ი. ყველა პარტიების წარმომადგენლები იქნებოდენ მთავრობაში.

აი მთელი მთავარი დებულება საქართველოს განთავისუფლებისა რუსეთისაგან.

რასაკვირველია სხვა რაიმე მოთხოვნილების წამოყენება ხალხის დასაკმაყოფილებლად მათ არ შეეძლოთ. ხალხს ისინი არაფერს არ ეკითხებოდენ. მათი განზრახვა იყო აღედგინათ საქართველოში დამფუძნებელი კრება ე. ი. აღედგინა მენშევიკური წესწყობილება, ის წესწყობილება, რომელიც მენშევიკების არსებობის უკანასკნელ დღეებში სავსებით გაკოტრდა. ვინაიდან გაკოტრდა მენშევიკური მთავრობის აგრარული პოლიტიკა, გაკოტრდა მუშურ-გლეხური პოლიტიკა, გაკოტრდა ნაციონალური პოლიტიკა, და აი სწორედ ამ გაკოტრებული წესწყობილების აღდგენა მოინდომეს მათ.

ვისი საშუალებით უნდა მომხდარიყო ეს?

აი, ამხანაგებო, ეს იყო მთავარი საგანი, რომელზედაც ზრუნავდენ, როგორც საზღვარ-გარეთ ისე ჩვენში მენშევიკები. ეს იყო დახმარება უცხოეთის სახელმწიფოების განსაკუთრებით საფრანგეთის და ინგლისის.

მაგრამ რანაირი დახმარება უნდა გაეწიათ მათ?

ეხლა ამ პარიტეტული კომიტეტის წევრები, რომელნიც დაჭერილნი არიან, და რომელთაც გამოაცხადეს თავის თავი გაკოტრებულათ, ამბობენ, რომ ჩვენ დახმარებას ველოდით საზღვარ-გარეთიდანო. მხოლოდ ერთი მათგანი, კოტე ანდრონიკაშვილი უარყოფდა ამას. სხვა დანარჩენები კი ყველანი თავის ჩვენებაში გულახდილად ნათქვამ ჩვენებაში, სადაც გადმოყაჰეს ყველაფერი რაც ჰქონდათ გულში, ამას აღიარებენ.

ამბობენ, რომ ეს დახმარება უნდა ყოფილიყო საზღვარგარეთიდან, მაგ. ფულით, იარაღით და დიპლომატიური რამ ჩარევით, ამისთვის ამათ აჯანყება უნდა მოეწყოთ ისე, რომ ევროპაში, ევროპის სახელმწიფოების კონფერენციის დროს ეხელთათ ისეთი შემთხვევა რუსეთთან მოლაპარაკების დროს, რომ წამოეყენებინათ საქართველოს საკითხი; მაგრამ ამისათვის საჭირო იყო საბაბი. ეს იყო ახმაურება აჯანყების მსგავსი რამ საქართველოში. და მაშინ ევროპის სახელმწიფოები პირდებოდნენ, რომ ჩვენ შეგვიძლია მოვთხოვოთ დაკმაყოფილება ქართველ ხალხის მოთხოვნილებისა, ე. ი. განთავისუფლება საქართველოსიო. ამისათვის იქედან იგზავნება სისტემატიურათ როგორც სხვადასხვა სალსარი, ისე განსაკუთრებული ხალხი სხვადასხვა დავალებებით.

მოგეხსენებათ, რომ 1922 წლის ზაფხულში ჩამოვიდა აქ ნოე ხომერიკი, მის დაჭერის შემდეგ გამოგზავნილი იყო ჩხიკვიშვილი, 24 წლის დასაწყისში იგზავნება აქ ჯუღელი და მთელი რიგი იმათ ამყოლ-დამყოლებისა.

რა თქმა უნდა დღეს დანამდვილებით გვაქვს გამორკვეული, რომ ეს ხალხი მოვიდა აქ შეირაღებულ აჯანყების მოსაწყობათ, უნდა ეჩვენებინათ ევროპისთვის, რომ საქართველოში მოხდა საყოველთაო აჯანყებაო.

უნდა გითხრათ, რომ ამ სამი წლის განმავლობაში ასეთი ჭორები ხშირათ იყო მოდებული მთელს ევროპაში აქ ვინმე სადმე გაიჩხაკუნებდა ერთ თოფს, როგორც მაგალითად ჩოლოყაშვილი და მაშინვე ბურჟუაზიულ გაზეთებში სწერდენ—საქართველოს ხალხი ღვრის სისხლს, ხდება ომები, დაიკავეს ესა და ის ადგილები და სხვადასხვა. და თუ ასე უბრალო გაჩხაკუნებისათვის ასეთ რამეებს სწერდენ, რა თქმა უნდა მეტს დასწერდნენ მის შესახებ, რაც ამ ერთი თვის წინეთ მოხდა აქ.

„აჯანყება"

როგორი „აჯანყება" მოხდა? განზრახული იყო საყოველთაო აჯანყება, ფიქრობდნენ მთელი ხალხი ან დიდი მისი ნაწილი ჩათრეულიყო, გამოეყვანათ ეს ხალხი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მათ, რასაკვირველია, სურდათ მუშებისა და გლეხების გამოყვანა. მაგრამ ვინ ჰყავდათ მათ მოკავშირენი? ჩვენ ბევრს ვლაპარაკობდით ამაზე და შესაძლებელია ეხლა ამაზე ლაპარაკიც მეტი იყოს, რომ თავად-აზნაურობა, ოფიცრები, სამღვდელოება და ვაჭრები იღებდნენ მონაწილეობას, შესაძლებელია ამაზე ლაპარაკი კიდევ მეტიც იყო, მაგრამ მეტი რა გზაა?

ვისთან ჰქონდა მაშ ამ მეთაურებს კავშირი? რა თქმა უნდა, რომ ჩოლოყაშვილის ბრბოებთან. გარდა ამისა იმ ელემენტებთან, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ საბჭოთა ხელისუფლებისა, ე. ი. რომლთსაც საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა მიწები და სხვადასხვა ქონება, და ოფიცრები, რომლებმაც დაკარგეს თავისი უპირატესობა, რომელიც მათ ჰქონდათ როგორც მეფობის, ისე მენშევიკების დროს.

რასაკვირველია ეს ხალხი უკმაყოფილონი იყო, რადგანაც ჩვენ არ შეგვეძლო მათი ინტერესების დაცვა. ჩვენ მხოლოდ მშრომელი ხალხის ინტერესებს ვიცავთ. აი, ვისთან ჰქონდათ კავშირი. დღეს აშკარაა, რომ ყველა კონტრ-რევოლიუციონერები, სადაც კი მოიპოვებოდნენ იმათ ჰქონდათ კავშირი და იმედი, ჯერ საქართველოში უკმაყოფილო ელემენტებისა, და შემდეგ ჩრდილო-კავკასიის კონტრ-რევოლიუციონერ ელემენტებისა. იქ ჰქონდათ კავშირი გამბული ცნობილი კონტრ-რევოლიუციონერ ალი მიტაევთან ჩეჩნეთში. შემდეგ გოცინსკისთან დაღესტანში და აზერბეიჯანის ბეგებთან.

მენშევიკები თითონ ამ ხალხთან ვერ მიდიოდნენ, რადგანაც მათ მენშევიკებისა არაფერი სწამდათ, და იქ გზავნიდენ ეროვნულ დემოკრატებს. მაგალითად: ჩრდილოეთ-კავკასიაში კავშირი შექმნეს წინამძღვრიშვილმა და იშხნელმა.

როგორი იყო დამოკიდებულება თვით ამ პარიტეტულ კომიტეტში, როგორი იყო მათი შეთანხმება, მკვიდრი თუ არა? ვთქვათ, რომ გაემარჯვათ და ჩაეგდოთ ხელში ძალა-უფლება,—რას იზამდენ ისინი? ნიშნები არის იმისა, რომ თუ პირველ დღეს არა მეორე დღეს მაინც ისინი ერთმანეთს თავს გაუტეხდნენ. ამის ნიშნები იყო, მაგალითად ახალ-სენაკში, როდესაც გრძნობდნენ თავს როგორც ძალა-უფლების მქონენი. ერთ ადგილას მენშევიკებს ჩამოეკიდათ ნოე ჟორდანიას სურათი, მეორეებს (ნაციონალ-დემოკრატებს) ჩამოეგდოთ ეს სურათი და ჩამოეკიდათ ნიკო ნიკოლაძის სურათი.

რას ნიშნავს ეს? ჯერ „დათვი" არ მოუკლავთ, ტყავს კი იყოფენ.

საინტერესო იყო ისიც, რომ როცა ჯუღელი მოვიდა და კოტე ანდრონიკაშვილი წინადადებას აძლევს პარიტეტულ კომიტეტს, რომ ჯუღელი სამხედრო კომისიაში შევიყვანოთო, ამაზე უარს აცხადებენ განსაკუთრებით ეროვნული დემოკრატები. ისინი ამბობდენ—არა, ის ხელახლა სახალხო გვარდიის შედგენას მოინდომებსო და ამიტომ მას სამხედრო კომისიაში ვერ დაუშვებთო. იქედან აშკარაა, თუ რამდენათ მკვიდრი იყო მათი შეთანხმება. რომ ისეთი ბედნიერება ჰქონოდათ, რომ ხელში ჩაეგდოთ ძალა-უფლება, ერთმანეთს დაამტვრევდენ თავპირს. მაგრამ ეს ჩვენ არ გვაინტერესებს. ჩვენ გვაინტერესებს განსაკუთრებით მხოლოდ ის, რომ ეს აჯანყების მოწყობა ჩვენ ზურგის უკან, ხალხის ზურგის უკან მუხანათურათ კეთდებოდა. იმ დროს საბჭოთა ხელისუფლება, მუშათა კლასი თავის მუშაობას, მშვიდობიან მუშაობას ეწეოდა ხალხის სასარგებლოდ.

ვინ გაჰყვა მენშევიკებს „აჯანყებაში"

როგორც მოგეხსენებათ ეს აჯანყება უნდა გამოსულიყო საყოველთაო. როგორ გამოდგა ეს სინამდვილეში, მართლა გაჰყვა თუ არა მას ხალხი? აქ უნდა კონკრეტიულად შევუდგეთ ამის გარჩევას და დავინახოთ თუ რა მოხდა. იყო თუ არა ეს გამოსვლა საყოველთაო ან რაიმე ამის მსგავსი? რა თქმა უნდა, უნდა მოგახსენოთ, მართლაც არ მაქვს სურვილი, რომ აქ რამე გავაზვიადო ან ერთის მხრივ ან მეორეს მხრივ. ე. ი. შევამცირო ის, რაც იყო. ამის სურვილი არ მაქვს და რომც მქონოდა ეს თავისთავის დატყუილება იქნებოდა. ჩვენ უნდა ვსთქვათ ის, რა იყო სინამდვილეში. ასეთი მიდგომით უნდა აღვნიშნოთ ერთი მხარე და მეორე მხარე. დავსვათ სასწორზე ერთი მხრივ აჯანყება და მეორეს მხრივ ის ნაწილი, რომელიც არ აჰყვა პარიტეტულ კომიტეტს. თუ ამ მხრივ მიუდგებით საკითხს, ჩვენ დავინახავთ, რომ არც ერთი ავტონომიური რესპუბლიკა იმათ არ აჰყოლია ე. ი. ის რესპუბლიკები, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლებამ, დღიდან თავის აქ მოვლენისა, მიანიჭა ნამდვილი ეროვნული თვითმართველობა, საკუთარი საქმეების გაძღოლა, იმათ ვისაც მენშევიკები არ აძლევდენ უბრალო მიწერ-მოწერის და სკოლის უფლებას დედაენაზე და რომელმაც მიიღეს ნამდვილი დამოუკიდებლობა ჩვენგან, როგორც აჭარისტანი, სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, უდიდესი მნიშვნელობა. ასეთივე ითქმის სომხებზე და სხვა ეროვნებაზე.

გარდა ამისა ჩვენ ვხედავთ, რომ სადაც დედა ძარღვია ხალხის ცხოვრების, ვინც აძლევს ტონს ჩვენს ცხოვრებას დღეს—პროლეტარიატის დიქტატურის დროს, ე. ი. მუშათა კლასი, უმთავრესი ცენტრები საქართველოსი, როგორიც არიან თბილისი, ბათომი, ფოთი, ქუთაისი—აქ არავითარ გამოსვლებს ადგილი არ ქონდა. ეს მუშათა ხალხი რა თქმა უნდა, რომელიც შეადგენს ფუძეს ჩვენი მუშათა ხელისუფლებისას, ეს ხალხი დარჩა მუშათა ხელისუფლების მხარეზე, ე. ი. წინააღმდეგი პარიტეტული კომიტეტისა. მხოლოდ აქ არის ერთი გაუგებრობა. ეს ჭიათურის შესახებ. ჭიათურაში იყო რაღაც გამოსვლა, მაგრამ ყველამ უნდა ვიცოდეთ დაწვრილებით რაც მოხდა, ე. ი. იქ სწორედ თავად-აზნაურების ავანტიურა და აგრეთვე იმ პარტიული მენშევიკების, რომელნიც კიდევ შერჩენ ერთგულნი მენშევიკების საზღვარ გარეთის ლიდერებს. რა თქმა უნდა ამისთანა ხალხთან ვერაფერს გავაკეთებთ. მაგრამ თითონ ჭიათურის მასსა, რა თქმა უნდა, მთლად დარჩა ჩვენ მხარეზე.

ეხლა მიუბრუნდეთ გლეხკაცობას.

ჩვენ კარგად ვიცით, ამხანაგებო, რომ ამ გამოსვლების დროს, თბილისის გარშემო, ქართლ-კახეთში თარეშობდა ორი ბრბო: ერთი ცნობილი ჩოლოყაშვილის და მეორე ლაშქარაშვილის. მენშევიკებს, ამ ვაი-მარქსისტებს თურმე ჩოლოყაშვილის ბრბო ყოლიათ მთავარ ლაშქრათ, რომელსაც უთქვამს პარიტეტულ კომიტეტისათვის, რომ მე მყავს 600 შეიარაღებული კაციო. ლაშქარაშვილს ყოლოდა თითქო კიდევ 200 და ამით ისინი უნდა დასცემოდნენ თბილისს ასაღებათ.

ერთი სიტყვით „მარქსისტ" ჟორდანიას მოყავდა აქ ჩოლოყაშვილის ბრბო თბილისის მუშების წინააღმდევ. ეს თავის თავად საინტერესოა ასეთი განზრახვა, ასეთი გეგმა, რომელიც იქმნა შეთანხმებით შედგენილი. ახლა ვიკითხოთ: როგორი განწყობილება ჩამოვარდა გლეხკაცობაში. მიიმხრო ჩოლოყაშვილის ბრბომ და პარიტეტულმა კომიტეტმა თუნდა ერთი კაციც გლეხკაცობიდან თუ არა? ჩვენ, ამხანაგებო, ვიცით დღეს დანამდვილებით, სისწორით, რომ ჩოლოყაშვილს გაუცრუვდა იმედები და 600 კაციდან შერჩა შეფიცულები 60 ნამდვილი ყაჩაღები. ლაშქარაშვილის შესახებ არაფერი შემიძლია ვთქვა იმიტომ რომ ის სულ გამქრალია. გაჰყვა თუ არა გლეხკაცობა მათ? ჩოლოყაშვილი დაეცა მანგლისს. იქიდან გამორეკეს, გადავიდა პრიუტში, პრიუტიდან კავთისხევში, იქ რამოდენიმე კომუნისტი მოკლა შემდეგ გაითარეშა დუშეთზე, და ამით გათავდა. ერთი გლეხი რა არის, რომ მაინც გაჰყოლოდა მას! აი ნამდვილი სურათი, რომელიც ჩვენ თვალწინ სდგას.

ეხლა თუ გადავხედავთ იმერეთს, იქ ცოტა სხვა გვარი სურათი იყო. ალაგ-ალაგ როგორც მაგალითად შორაპნის მაზრაში თუ ჭიათურას თავს დავანებებთ, სერიოზული გამოსვლა იყო მხოლოდ ჩხარში, სადაც თავად-აზნაურობა თავგამოდებით იბრძოდა, რასაკვირველია თუ გნებავთ საქართველოს „დამოუკიდებლობისათვის" ბრჭხილებში, მაგრამ ის იბრძოდა თავის მამულების დასაბრუნებლად. რაც შეეხება ქუთაისის მაზრას, აქ მხოლოდ ერთ რაიონში, სამწუხაროდ უნდა ვსთქვათ ჩვენ ვერ შეგვისრულებია ის რაც უნდა შეგვესრულებია, სამწუხაროდ უნდა ვსთქვათ, რომ დაგვიტოვებია თავად-აზნაურების მამულები, მათი გავლენა, სახლები და სხვა. როგორ მოხდა ეს? ჩვენ ვართ დამნაშავე. აი აქ უპოვიათ მენშევიკურ მეთაურებს ბინადრობა. გაუკეთებიათ ბუდე, შემოუკრებიათ ვინც კი იყო ყაჩაღათ და, რა თქმა უნდა ზოგიერთი ძალით და მოტყუილებით შემოუერთებიათ, გლეხობის ნაწილიც.

მე ჯერ არ მითქვამს რანაირი იყო მათი ტაქტიკა ამ აჯანყების დროს. ეს იყო ორ-ნაირი ტყუილი: აქ და საზღვარ-გარეთ.

აქ ტყუილი მდგომარეობდა იმაში რომ მათ დანიშნულ დღეს ამბობდენ, რომ მთელი საქართველო დაპყრობილია, თბილისი დაპყრობილია. ეს არაფერი, აზერბეიჯანი და ბაქო დაპყრობილი არისო და ეხლა მივდივართ როსტოვშიო. და ზოგან ამბობდენ კიდევ, რომ მოსკოვი მენშევიკების ხელში არისო. ამ დატყუილებით დაუბნიეს თვალი ზოგიერთ გლეხებს და ძალით აიყოლიეს. ასეთივე სურათს ვხედავთ სხვა მაზრებშიაც. რაჭა-ლეჩხუმში მათი ჰაჯანება არ იყო. არის ორი თუ სამი მაზრა. ეს მაზრები არის ზუგდიდის, სენაკის და ოზურგეთის.

სენაკის და ზუგდიდის მაზრებში თქვენ როგორც იცით გლეხობა ჩამორჩენილი არის. ჩვენი ხელისუფლებამ ვერ შესძლო მაინც და მაინც ამ გლეხობის გამოყვანა ბნელი მდგომარეობიდან, რომელშიაც ის აქამდის იყო. მაგრამ გლეხობა არაფერ შუაშია, როცა იქ დიდ ძალი თავად-აზნაურობისა უკმაყოფილო იყო, იარაღის ტარებაში კარგათ დახელოვნებული. აი ასეთები გამოვიდნენ და ერთ ხანს, რამდენიმე საათის თუ დღის განმავლობაში მოახერხეს გლეხობის შეცდომაში შეყვანა; მაგრამ გლეხობა ირკვევა თუ რაში იყო საქმე, იმიტომ, რომ როცა მენშევიკებმა და თავადებმა ძალა-უფლება ხელში ჩაიგდეს, მაშინვე იწყეს თავის მიწების უკან დაბრუნება და ემუქრებოდნენ გლეხებს არა თუ წლევანდელ ღალას გადაგახდევინებთ, არამედ რამდენიმე წლისასო. რასაკვირველია გლეხი ირკვევა თუ რაშია საქმე.

ეხლა გადავავლოთ თვალი ოზურგეთის მაზრას. იქ უნდა გითხრათ, რომ სულ სხვა სურათია. გურია არის მენშევიზმის ბუდე, ერთ დროს მენშევიზმის ბატონობის დროს, რვა-ცხრა ათასი პარტიის წევრი იყო იქ, გურიაში, და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ იქ ას ათასამდე სული ითვლება, გამოდის, რომ თუ თითო ოჯახზე თუ არა, თითო ოჯახს ნახევარზე ხდება ერთი მენშევიკი, პარტიის წევრი. იქ უბრალო გლეხებია და იმათში ღარიბიც და საშუალოც.

საზღვარ-გარეთიდან გამოგზავნილი აგენტები, ზოგიერთი მათში, თვით გურულები იყვნენ, როგორც ხომერიკი და ჩხიკვიშვილი,—მიდიოდნენ პირდაპირ გურიაში. თქვენ ხომ იცით, რომ ჟორდანია-რამიშვილები ყველა გურულები არიან, ყველას გადაბმული აქვს კავშირი ნათესაური და სხვაგვარი. იქ არავითარი კლასიური დაყოფა მენშევიკ-ბოლშევიკებს შორის არ არის. იქ არის მხოლოდ რწმენითი დაყოფა. იქ ძმები არიან ერთი ბოლშევიკი და მეორე მენშევიკი. სხვა გარჩევა არ არის. გურიის გლეხობა ცნობილია თავისი რევოლიუციონური წარსულით, კულტურული ცხოვრებით მაღლა სდგას სხვა მაზრებზე საქართველოში, მაგრამ ამავე დროს მას აქვს მენშევიკური თვალსაზრისი და სულისკვეთება და რა თქმა უნდა, ჩვენ ამ ხნის განმავლობაში თუმც ბევრი რამ შევსძელით, რომ დაგვერწმუნებია გლეხობა იმაში, რომ ჩვენი ხელისუფლება არის მუშების და გლეხების ხელისუფლება, მაგრამ უნდა მოგახსენოთ რომ პარტიული ჟინიანობა სულ სხვა არის და ეს ჟინიანობა დარჩა გურულ გლეხობასაც კიდეც აქამდის, და ამისთვის გურიაში მეტი ჰქონდა გასავალი ამ მენშევიკურ ავანტიურას ვიდრე სხვა მაზრებში. ჩვენ მუდამ ვიცოდით, ამას მოველოდით და ასეც მოხდა.

ჩვენ ვიცოდით, რომ თუ მენშევიკები დაიწყებდნენ რასმე, გურიიდან დაიწყებდნენ და ასეც მოხდა. იქ გამოსვლას უფრო მასიური ხასიათი ჰქონდა შედარებით, ვინემ სადმე და გლეხობის ნაწილიც ჩარეული იყო, იმისთვის, რომ გურიაში თითქმის თავად-აზნაურობა აღარ არის. მართალია მენშევიკების ავანტიურას აჰყვენ მღვდლებიც და ვაჭრებიც მაგრამ უმეტესობა მაინც გლეხობა იყო. ბევრი იყო ამხანაგებო, ამათში მოტყუილებით ჩათრეული, ზოგი ძალით. იმათ აგონებდენ, რომ საკმარისია თოფი აიღოთ ხელში და გაისროლოთ და ამას გაიგონებენ იქ ევროპაშიო. **გემები უკვე საზღვრებზე იქნებიან** და დაგვეხმარებიანო, მოგვანიჭებენ თავისუფლებას, მოგვიტანენ საქონელს და ამავე დროს მენშევიკურ ლიდერებს.

რა თქმა უნდა, ეს არ მოხდა, ხალხი მოტყუილებული დარჩა. ზოგი გამოვიდა იარაღით, ზოგი უიარაღოთ. როგორც იყო. მსხვერპლით იყო აქეთაც და იქიდან რასაკვირველია უფრო მეტი, მაგრამ ევროპიდან არავინ გამოიდა იმიტომ, რომ ეს იყო მხოლოდ დატყუილება.

მოელოდენ იქიდან რაიმე დახმარებას, ჩარევას თავის ჯარით. რა თქმა უნდა ამხანაგებო ამის მსგავსი არაფერი ყოფილა. მაგრამ ხალხს ატყუილებდენ.

თქვენ კარგად იცით უკვე პარიტეტული კომიტეტის განცხადება. უნდა მოგახსენოთ, ამხანაგებო, რომ ისინი ამბობენ, შეიძლება სთქვან, რომ ეს იყო ძალდატანებით სიკვდილის შიშით გამოწვეული. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მათი შემდეგი ჩვენებები უკვე გულდასმით ნაჩვენები იმასვე ამბობენ, რომ ჩვენ ხალხმა მხარი არ დაგვიჭირაო.

ის უსვინდისოები სად იყვნენ აქამდის. როგორ ფიქრობდენ რომ ხალხი მხარს დაუჭერდა? ან რისთვის უნდა დაეჭირა მხარი? მართლაც ხალხი ოცნებებით კი არ მოქმედობს, ის ნივთიერი თვალსაზრისით, მატერიალურად უყურებს ყოველივე საკითხს, რისთვის უნდა დაეჭირა მხარი ან მუშებს ან გლეხებს განსაკუთრებით ნაციონალ უმცირესობათ? რა მოელოდათ იმათ, რა პირით უნდა მოსულიყვენ აქ მენშევიკები. მე ვეკითხები ჩემ თავს. რა პირით უნდა მოსულიყვენ ან მუშებთან ან გლეხებთან განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობებთან: სომხებთან, ოსებთან, აჭარლებთან, აფხაზებთან? რა პირით მიდიოდენ: ნუ თუ ჩოლოყაშვილის ბრბოთი უნდოდათ ანგარიშის გასწორება?

უნდა მოგახსენოთ, რომ ისეთი დატყუილება, ისეთი ავანტიურა, რომელიც იქნა აქ ჩადენილი წარმოუდგენელია. ეს მეთაურები რას ჩადიან? განა მთელი დედამიწის ზურგზე მოიპოვება ისეთი რევოლიუციონური პარტია, რომელსაც ებრძოლოს და მეორე დღეს ეთქვას, რომ ჩვენ ავანტიურისტები ვართო? ასეთი რევოლიუციონური პარტია არ არსებობს.

ჟორდანია ამბობს: ირლანდიის ბრბოები იბრძვიან ინგლისის წინააღმდეგო. ირლანდია მთელი საუკუნოების განმავლობაში იბრძოდა და იბრძვის, თუმცა ეხლა შეიცვალა მდგომარეობა იქ ინგლისის წინააღმდეგ, მაგრამ არასოდეს ბელადები არ წამხდარან არ დამცირებულან ისე, არ დაუგმიათ მათი მოქმედება, ისინი ლპებოდენ საპყრობილეებში, სახრჩობელაზე, მაგრამ არ ამბობდენ, რომ ჩვენი მოქმედება ავანტიურისტულიაო. ჩვენში კი ამას ვხედავთ და ამაზედ მეტი დამცირება განა შესაძლებელია, როცა პარიტეტული კომიტეტი მუშაობს და ერთი საათის თუნდ ერთი წუთის შემდეგ ამბობს, რომ მისი მოქმედება ავანტიურისტულია, რომ გმობს თავის გამოსვლებს. შეიძლება სთქვათ რომ ეს სიკვდილის შიშის ქვეშ ხდებოდა, მაგრამ ასეთი შემთხვევა არც ერთი რევოლიუციონურ პარტიას არ მოსვლია.

მოგეხსენებათ, რომ მენშევიკების აქ ბატონობის დროს ხდებოდა ბოლშევიკური გამოსვლები: ჩვენ გვიჭერდენ ბევრი ამხანაგებიც დაგვეხოცეს 18—20 წლებში და განა ყოფილა თუნდა ერთი შემთხვევა ერთი განცხადება იმის შესახებ, რომ ჩვენ ვგმობთ ჩვენ მოქმედებასთქო. არა არ ყოფილა.

რით აიხსნება ეს?

ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენ ვიყავით მაგარი ჩვენი პოზიციით, ჩვენ

---

*) მოხსენება გაკეთებული იყო თბილისის საბჭოს პლენუმზე საქართველოს ცაკის მე-3 სესიის წევრთა თანადასწრებით.

პროგრამით. ჩვენ დამარცხებას გამარჯვებათ ვთვლიდით. ჩვენში იყო მტკიცე რწმენა და ამ რწმენით მიდიოდენ ჩვენი ამხანაგები სატუსაღოში და სახრჩობელაზე.

აქ კი რა ხდება? სულ საწინააღმდეგო მოვლენა და ეს ნიშნავს სრულ უნიადაგო მოვლენას. როდესაც ისინი აწყობდენ გამოსვლებს და დამარცხდენ ფიზიკურად უნდა ეთქვათ მაინც, რომ ზნეობრივათ გამარჯვებული ვართო, მაგრამ სადღაა ეს ზნეობრივი გამარჯვება? ეს დამარცხება ყველაზე მეტი დამარცხება არის, ზნეობრივი დამარცხება არის სამარცხვინო რევოლიუციონური პარტიისათვის. ამ ზნეობრივი დამარცხებას განიცდის დღეს მენშევიკური პარტია და ყველა ისინი, ვინც მათ მიერ იყვნენ ჩათრეულნი.

აქ ცნობისათვის უნდა განვაცხადო, რომ უკანასკნელ წამს სხივისტებს და მემარჯვენე ფედერალისტებს განუცხადებიათ უარი აჯანყებაში მონაწილეობის მიღებაზე. მხოლოდ სამ პარტიას უდვია თავზე სამარცხვინო ავანტიურა. მენშევიკებს, ნაც. დემოკრატებს და მემარცხენე ესერებს (ეს ესერები რას წარმოადგენენ, შეიძლება ერთ ნახევარი კაცი იყოს).

მაშასადამე, ამხანაგებო, ასეთი სურათია ეხლა. მოგახსენებთ დასამტკიცებლად იმისა, თუ რამდენად დაცემული არის ეს ხალხი, ოუ რამდენად აღარაფერი არ სწამთ, რომ იტყვიან წმინდათა წმინდაო.

დღეს ჩვენ ცნობები მოგვივიდა ევროპიდან, რომ ჟორდანია, ჩხენკელი, და იმანი მათნი ოფიციალურად აცხადებენ: საქართველოში ჩვენ არავითარი აჯანყება არ მოგვიწყვია, ჩვენ პარტიას არ მოუწყვია გამოსვლები, ეს ადგილობრივ სტიქიურად აჯანყდა თითონ ხალხიო. ამხანაგებო რა თქმა უნდა ეს უკვე დამატებაა, ეხლა, რასაკვირველია, არაფერი აქვთ სათქმელი, ასე საჯაყათ რომ გათავდა საქმე, სხვას რას იტყვიან. ეს რასაკვირველია პოლიტიკური პარტია აღარ არის. ეს არის გახრწნა და მეტი არაფერი.

აქ ერთ გარემოებას უნდა შევეხო, ეს ამხენაგებო როგორ შეხვდენ ამ აჯანყებას სხვადასხვა ეროვნებათა უმცირესობანი საქართველოში. ერთსულოვნად შეხვდენ, მზად იყვენ თუ საჭირო იქნებოდენ გაჩენილიყვნენ, რომ დახმარებოდენ ჩვენ მუშებს და გლეხებს მენშევიკების წინააღმდეგ. ერთნაირად გამოეხმაურა ამას კახეთის გლეხობა. ამხანაგებო უნდა წარმოვიდგინოთ ის გარემოება, რომ ქართლ-კახეთი წარმოადგენდა ამ დროს ჩოლოყაშვილის სათარეშო მოედანს, ასპარეზს.

ჩოლოყაშვილები თავისი ყოფილი თავადებით და ოფიცრებით დათარეშობდნენ; მათ დასაკარგავი არაფერი აქვთ, ისინი განწირულნი არიან და ყოველ შემთხვევაში ამ მოედანზე მოიპოება თითო-ოროლა ისეთები თავად აზნაურობისაგან და ოფიცრებისაგან, რომელნიც დაეცემოდნენ და გასცემდნენ ადგილობრივ გლეხობას; ეს მოხდებოდა უეჭველად.

გლეხობა თავად-აზნაურობის წინააღმდეგ

ჩვენ ვიცით, რანაირათ გაბოროტებულია თავად-აზნაურობა გლეხობაზე და მეორეს მხრივ რამდენი უკმაყოფილო არის გლეხობაში ბატონყმობის დროიდან. ბევრს ახსოვს ჯერ კიდევ ეს და ათი წლის წინათ ეს ნაშთები კიდევ ცოცხალი იყო. და იქ თავისებურათ უპასუხა გლეხობამ. ის გამოვიდა თავად-აზნაურობის წინააღმდეგ, რომელთაც შეეძლო ჩოლოყაშვილისათვის დაეჭირათ მხარი. და ამ გლეხობამ დაუმტკიცა ქვეყნიერებას, რომ კახეთში თავად-აზნაურობას გასავალი აღარ ექნება. და თუ მოინდომებენ ჩოლოყაშვილები ამის ჩადენას, იქ მათ არ გააჭაჭანებენ. ეს სტიქიური მოძრაობა იყო გლეხობისა, რომელშიაც რა თქმა უნდა ბრალი უდევს უმთავრესად და განსაკუთრებით, რასაკვირველია იმათ, ვინც ჩოლოყაშვილების აღდევენ; სწორედ იმ პარტიას, იმ პარიტეტულ კომიტეტს, რომელმაც ეს უბედურება მოახვია ხალხს თავზე. აი ამხანაგებო, ასეთი ბოლო იყო ამ ავანტიურისა; რა თქმა უნდა ეს ავანტიურა, ეს „აჯანყება", რომელსაც ისინი საყოველთაოს ეძახიან, ეს აჯანყება საყოველთაო არ იყო, ამის ნიშანი მას არა ჰქონია, მაგრამ ისარგებლეს ამ ხმებით, ამ არევ-დარევით და ევროპაში მორთეს ერთი ყიჟინა. აი რა ხდება: თბილისი აღებულია და ყველა ის რაც წინათ მოპირილი იყო კიდევ გაასკეცეს. მაგრამ ყველაფერს თავისი ბოლო აქვს.

შედეგები

შემდეგ რა უნდა მოჰყვეს ამას? მე ვამბობ, რომ ზოგჯერ ასეთ შემთხვევასაც, უბედურებასაც, კარგი შედეგი მოჰყვება იმიტომ, რომ ხალხი უფრო ერკვევა, დატყუებულიც და დაუტყუებელიც უფრო ნათლად ხედავს ვინ არის მის მხარეზე და ვინ არის მისი მტერი. აი ამ მხრივ ეს უბედური შემთხვევა, რომელმაც უნდა ვსთქვათ ბევრი უბედურება მიაყენა ჩვენს მხარეს, დიდი დაუფასებელი გაკვეთილი არის ხალხისათვის. თითონ მენშევიკურ პარტიისათვის და ყველა იმ პირთათვის, რომელნიც აქეთებენ ამ საქმეს და თითქმის სამი წლის განმავლობაში ემზადებოდნენ ამისათვის, ეს არის დამასამარებელი. უნდა მოგახსენოთ, რომ ფიზიკური დამარცხება ეს არაფერია, ფიზიკურ დამარცხებას ყოველთვის გაუძლებს რევოლიუციონერი პარტია, თუ მას ასულდგმულებს ნამდვილი კაცობრიული პროლეტარული იდეალი. ის გაიმარჯვებს, ის დაუმარცხებელი არის. ეს იყო ჩვენი დევიზი განსაკუთრებით მარქსის შემდეგ. და ამას ჩვენ მტკიცეთ ვადგივართ. მაგრამ ზნეობრივი გარდაქმნა-გახრწნა, დამარცხება არის საბოლოო დასაფლავება. ჩვენ შარშან როდესაც მენშევიკების ყრილობა იკრიბებოდა ვამბობდით, რომ მენშევიკური პარტია როგორც მუშათა კლასის პარტია მოისპო აღარ არსებობს და ეს დღეს ყველასთვის აშკარა უნდა იყოს. ჩვენ არ გვჭევია ისეთი განცხადებები და დეკლარაციები, რომელსაც ყველა მხრიდან გვაყრიან რომ ყველა მეთაური ამ ავანტიურისა ინანიებს თავის ცოდვებს და აშკარათ გმობს ჟორდანია-ჩხენკელ-წერეთლებს. შეიძლება ეს თვალთმაქცობაც იყოს, მაგრამ ეს იმნაირი თვალთმაქცობაა, რომ მათ ასამარებს. მაგრამ მე მგონია, რომ არის გულწრფელი მონანიებაც. და რომ ეს მართალია მე მოგიყვანთ ორ მაგალითს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ერთ გურიის სოფელში — ზომლეთში, როგორც კი ჩაცხრა ეს ავანტიურა და მისმა მონაწილეებმა გაახილეს თვალი და დაინახეს, რომ რა უფსკრულში ერეკებოდნენ მათ — რამოდენიმე კაცმა შეგნებულმა მენშევიკმა მოიკლა თავი. აი სხვათა შორის ერთი მათგანი **კოწია გადაჰკორია** სწერს შემდეგ წერილს: „განცხადება მთავრობის წინაშე" (კითხულობს).

მე, როგორც უბრალო მუშა, ვსჯი ჩემს თავს. ამ საქმის მე არაფერი ვიცოდი, ვინაიდან ეს ჩემდა უნებურად წავაწყდი: მივდიოდი გზაში ხევაგან, თურმე საქმე დაწყებული იყო და არ მომცეს საშუალება ჩემს საქმეზე წავსულიყავი. მე, როგორც ოჯახის მოყვარე კაცი, მირჩევნია ჩემს სახლში მოვიკლა თავი, ფუ იმას, ვინც მე ასე მომაშორა ამ სოფელს. ჩემი ძმა კახიანე ნამდვილი კომუნისტი გაარჩევს ჩემს საქმეს. იარაღის მოყვარე არ ვყოფილვარ თავიდან, თორემ უფრო მამაცური კი იქნებოდა იარაღით [illegible]

არამედ საქართველოს საგანგეო კო- [illegible]

მან ჩამოიხრჩო თავი, მე მაშინ იქ ვიყავი.

6 სექტემბერს მე-2-ე მაგალითი. **ილიკო დუმბაძის** წერილიდან. მან სამი ტყვია იკრა, მაგრამ გადარჩა ცოცხალი. მე ის ვნახე საავადმყოფოში (კითხულობს)—

„ნათესავებო და ამხანაგებო, ცოლო, შვილებო, და ნაკვდავო ნაშრომო, გემშვიდობებით და ხაზს უსვამ ჩემს სიცოცხლეს. 44 წლის კაცს ჯერ კიდევ არ მიშავდა. მე მოტყუებულმა სხვებისგა გავაკეთე დიდი შეცდომა. ვერ გაუწიე ანგარიში ასეთ დიდ საქმეს, როგორც შეუგნებელი პოლიტიკაში. ადრე გავიგე, რომ ვიყავი მოტყუებული, მაგრამ რაღას ვიქმდი, საქმე წავახდინე. ჩემი ქვეყანაზე ყოფნის გამოსავალი გზა არ იყო. დღეს ვეღარ უმაგრდები ასეთ დანაშაულობის ყურებას. ჩემს თავს უნდა უმტერო. მე ბრმა იარაღი, გაჭირვებული მუშა უმჯობესად ვსცანი დავიხვეწო სამუდამოდ. თქვენ იცით, რომ არ ვიყავი მუშის პირობაზე მთლად დაკარგული, მოღალატე. მაგრამ მოვტყუვდი სასტიკად. და ამას შემდეგ აღარ შემიძლია უმზერო იმ ხალხს, რომლებიც შევაწუხეთ ჩვენი გაუგებრობით. იცით თქვენ, რომ მე შემეძლებოდა თუ არა ასეთი საქმის რაიმე, მაგრამ ძალამ გამიდენა წინ და გვაკეთებინა ის, რაც მათ სურდათ".

უნდა მოგახსენოთ რომ ეს ორი მაგალითი მარტოკა არ არის, სია სრული არ არის. ასეთი თვითმკვლელობის მაგალითი რამოდენიმე იყო გურიაში. ყველა აქ ჩამოთვლილი არ არის.

რამ გამოიწვია ეს?

ეს გამოიწვია მან, რომ მათში სინდისმა გაიღვიძა და დაინახეს თუ რა დანაშაული ჩაიდინეს და იმავე დროს აქ სჩანს, რომ ეს ამხანაგები, შეიძლება ვსთქვათ ამხანაგები, მართლაც ვაჟკაცნი ყოფილან, დარწმუნდენ თავიანთ შეცდომებში და სხვებიც შეიყვანეს შეცდომაში. ისინი ამბობენ, რომ ჩვენ აღარ გვაქვს გამოსაჩენი თავიო.

მაგრამ რას ამბობენ ეს გმირები, ლიდერები, ბელადები აჯანყებისა? რას ამბობენ ისინი? აი საინტერესო ეს არის. დღეს ამათგან ჩვენ ვღებულობთ შენანიების წერილებს როგორც მაგალითად ლატრიას წერილი, გურიიდანაც არის რამოდენიმე ასეთი წერილი. აი ეს არის დამარცხება, სასტიკი დამარცხება.

რა ზომები უნდა მიიღოს მთავრობამ? თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ იმათ ვინც იყვენ ამ აჯანყების მეთაურები, ვინც ეკუთვნის იმ წოდებას, თავად-აზნაურობას, რომელნიც მართლაც ხალხის მტერნი იყვნენ მუდამ, იმათ რა თქმა უნდა მთავრობა დაუზნდა სჯანაირად. რაც შეეხება [illegible]

[illegible] და შეიძლება ჰქონებოდა ადგილი, როდ- [illegible]

მუშებისა და გლეხების კავშირი

რას წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლება მშრომელი ხალხისათვის? უნდა მოგახსენოთ თქვენ როგორც წარმომადგენელს თბილისის პროლეტარიატისას, ჩვენი დედა ქალაქის პროლეტარიატისას, რომ უნდა დამყარდეს მტკიცე კავშირი გლეხკაცობას და ქალაქის მუშებს შორის, უნდა განხორციელდეს ის ლოზუნგი, რომელიც გვაქვს მიღებული ჩვენი მასწავლებლისაგან. თქვენ იცით, რომ გლეხკაცობა ჩამორჩენილი არის. ჩვენ გაცილებით მეტი შეგვეძლო მცირე ხნის განმავლობაში გაგვეკეთებია ქალაქის მუშებისათვის; ქალაქის მუშა, რაც უნდა გაჭირვებაში იყოს, მაინც სოფლის გლეხკაცთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია, ბევრად უკეთეს მდგომარეობაში. ჩვენ რასაკვირველია შეძლების დაგვარად ვეცდებოდით ზომებს ჩვენი გლეხკაცობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ ქალაქის მუშების მდგომარეობა უკეთესია, ვინემ გლეხკაცის. ეს გაუმჯობესება ძნელი იყო პირველ ხანებში, თითქმის შეუძლებელიც, მაგრამ ამიერიდგან ამას უნდა მიექცეს მეტი ყურადღება.

პროვოკაციის წინააღმდეგ

მე ვიტყვი ერთ გარემოებაზე: ამ გამოსვლების დროს და განსაკუთრებით ამ გამოსვლების შემდეგ ერთნაირი პროვოკაცია დაიბადა საზოგადოების ზოგიერთ წრეებში. რა თქმა უნდა, ყველა ბნელი ძალები ლამობენ რაიმე უსიამოვნების ატეხას ხალხლად. შესძლებენ თუ არა ამას ეს სხვა საქმეა, მაგრამ ხომ იცით ამ პროვოკაციას ბევრი წამოგება, ბევრი შეუგნებელი ელემენტი მიიღებს სინამდვილეთ და შესაძლებელია მას ცუდი შედეგი მოჰყვეს. მე ვამბობ ამ ბოლო დროს, რადენადაც მე პირადათ მქონდა შემთხვევა, პროვოკაციონურ ხმებს ავრცელებენ სომხების და ქართველების შესახებ. ამხანაგებო, უნდა იცოდეთ, რომ ჩვენი, საბჭოთა ხელისუფლების თავი და თავი საფუძველი ერთაშორის სოლიდარობის და ძმობის განმტკიცებაა და მოსპობა იმ შულისა და მტრობის, რომელსაც ადგილი ქონდა აქ მენშევიკების დროს. საბჭოთა ხელისუფლებას შეეძლო მოესპო ეს და უნდა ვსთქვათ, რომ მეტად სამწუხარო არის, რომ ეხლა პროვოკაციულ ხმებს ადგილი აქვს და ჩვენ უნდა ავიცილოთ ეს თავიდან სამუდამოთ და სადაც ასეთი ხმა იქნება პასუხი მოვთხოვოთ საიდან და როგორ წარმოიშვა ის. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამას არა აქვს მაინც და მაინც დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან ამ 3, 4 წლის განმავლობაში ჩვენმა მუშაობამ ამ მხრივ, კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მუშაობამ იმდენათ ღრმა და ნაყოფიერი კვალი დაამჩნია, რომ ვირავითარი პროვოკაცია ვერ გასჭრის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ჩვენ ასეთ ხმებს ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოუღოთ.

ჩვენი გზა

ჩვენ რას გვიუბნებოდნენ, რას ეუბნებოდენ ხალხს მენშევიკები? გვეუბნებოდნენ, რომ მოვლენ ევროპიელები და გაგანვითარებენო, მოგვიტანენ საქონელსა და ფულსო. ჩვენ არ გვინდა, რომ ჩვენში მოვიდეს რუსეთიო, რომ უკეთესია ჩვენში ევროპიელი ვაჭრობა და წარმოება განვითარდეს ვიდრე რუსეთისო, რუსები ბარბაროსები არიანო. მართალია, ამხანაგებო, კარგი ბიჭები არიან ეს ევროპიელები: ერრიო, მაკდონალდი, კაუცკი, რენოდელი, კარგი განვითარებული ხალხია კაპიტალისტებიც, ძალიან განვითარებულნი არიან, მაგრამ... ჩვენთან ხომ იმ ტეხნიკას და განათლებას არ გამოიტანენ. თუ მოვიდოდნენ ჩვენთან, [illegible] მხოლოდ მყვლეფლები, რომ ჩვენს ზურგზე იარონ. მოვიდოდნენ მხოლოდ კაპიტალისტები და მექარხნეები. მუშები იქიდან ჩვენთან არ მოვლენ. ჩვენ კავშირი გვაქვს რუსეთთან, რუსეთის მუშებთან და გლეხებთან. ეს რეალური კავშირია, ოცნება არ არის. მართალია ჩვენ ჩამორჩენილი ხალხი ვართ, ჩვენ ჩვენი წესწყობილება გვაქვს, რომელსაც ევროპის ბურჟუაზიის წესწყობილებაზე ვერ გავცვლით. **და ჩვენ უნდა ვიყოთ, ვართ და ვიქნებით ამ მუშურ და გლეხურ კავშირში ჩაბმული და ვიქნებით მანამ, სანამ ამ კავშირს არ გავაფართოვებთ. და როცა ეს გაფართოვდება გერმანიაზე, მაშინ გერმანიასთან შევალთ კავშირში, როცა გადავა ინგლის-საფრანგეთზე იმასაც შევუერთდებით. ჩვენი გზა ასეთი არის.** და მენშევიკების და მათ ამყოლის და დამცველების გზა სხვანაირია — ეს არის კაპიტალისტური გზა, ე. ი. კაპიტალისტები მოვლენ და ჩამოგვაშორებენ საბჭოთა კავშირისა, იმათ ისე აქვთ წარმოდგენილი და სხვა განზრახვა აქვთ, რომ ისინი გაავრცელებენ კაპიტალისტურ კავშირს. **ეს მეორე გზაა, აი ორი გზა: ჩვენ ვადგივართ მუშურ-გლეხურ გზას და იმედია ეს კავშირი გაფართოვდება და გავრცელდება ევროპა-ამერიკაზე და იქაც მოისპობა კაპიტალის ბატონობა,** რომელსაც ჩვენი მენშევიკურ პარტიის ბელადები შენატრიან ევროპაში. ისინი ვერ ხედავენ და ან არ უნდათ დაინახონ, რომ კაპიტალს ეცლება ნიადაგი იქაც. ისინი ვერ ამჩნევენ ან არ უნდათ შეამჩნიონ, რომ კომუნისტური პარტია და მე-3 ინტერნაციონალი გაძლიერების გზაზე სდგას, მაგრამ ჩვენ მტკიცედ ვიდგებით ამ ნიადაგზე, რომელზედაც ვდგევართ და აქედან ჩვენ შევიძლია დავუძახოთ მათ — შორს, შორს ჩვენგან, თქვენი გასვრილი ხელი- [illegible] (ტაში).

მუშათა ცხოვრება

საბჭოთა ერთგული მოსამსახურე მადლობის ღირსი არის.

წაღვერის მუშათა დასასვენებელი სახლი იმყოფება საუკეთესო და საუცხოვო მაღლობზე — იტევს 160 კაცს. ჩვენ 16 ივლისს მივედით 50 კაცი — მთავარ სახელოსნოს მუშა-მოსამსახურენი. შევედით თუ არა და მაშინვე შევატყვეთ, რომ ამ სახლს დიდი ყურადღება აქვს მიქცეული დაწყებული გამგიდან და თვით მუშა-მოსამსახურეებამდე. მასთან ერთად იდეალური კვება მთლად აკმაყოფილებს დასასვენებლად ჩამოსულ მუშა-მოსამსახურეს. ყოველი იქაური მოსამსახურე ცდილობდა ესიამოვნა დამსვენებლებისთვის. აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კულტურულ ცხოვრებასაც ჰქონდა მიქცეული ჯეროვანი ყურადღება. იქ მოგვდიოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები და იმართებოდა საინტერესო ლექციები — „ინსცენიროვკები" მაგ.: გაახალგაზრდავებაზე, მზის ვანებზე და სხვა. იმართებოდა ხოლმე წარმოდგენები: ვოდევილები, კომედიები და სხვა. ვმართავდით ექსკურსიებს ბაკურიანში, დავათვალიერეთ ბაკურიანის ბოტანიკური ბაღი და სხვა შესანიშნავი ადგილები. ასე, რომ მთელი წლის დაღლილობა მთლად დაგვავიწყდა და დასვენებულ ფიზიკურად და სულიერად ჩამოვედით და ახალი ძალით შეუდექით ნასიამოვნები ჩვენს საქმეს. ჩვენ უგზავნით მუშურ გულწრფელ მადლობას ყველა იმ ამხანაგებს, რომლებიც იქ ზრუნავდნენ მუშების გაჯანსაღებაზე და დასვენებაზე.

მუშკორი **ნა—შვილი.**

მოაშორეთ ეს უსაქმო კაცი!

(რკ. გზ. საუბნო კომიტეტის საყურადღებოდ).

მე-5-ე უბნის ლიანდაგის დარგში მსახურობს საწყობის გამგე ლავრენტი ბერაძე, რომელიც განაგებს ლიანდაგზე სახმარ იარაღებს. არის შემთხვევა, რომ როდესაც მას მოსამსახურეები და მუშები მიმართავენ აუცილებელი იარაღების მისაღებად, ის უარს ეუბნება და თავს იმით იმართლებს, რომ თითქოს მის საწყობში არ იყოს ასეთი იარაღი. ნამდვილად კი არის საბუთები იმისაც, რომ მას ქონდა მოთხოვნილი საჭირო იარაღი, მაგრამ მან არ მისცა მთხოვნელს, იმიტომ რომ ზარმაცია და ეხარჯება მოვალეობის ასრულება.

მოქ. ბერაძეს მეორე მხარეც აქვს ცუდი: მუშებს პატიოსან სიტყვით სტყუებს ინვენტარს და აღარ უბრუნებს და არც საბუთს იძლევა ჩამორთმევისას და თვითონ ითვისებს.

ამას წინად ბაკურიანის მუშებს დასტყუა მან ვედრო და აღარ დაუბრუნა, რის გამო მუშები განიცდიან გაჭირვებას, რადგან მათ წყლის სხვა ჭურჭელი არ გააჩნიათ.

მუშები ასეთ თავ გასულ და არა კეთილსინდისიერ საწყობის გამგეს ზიზღით იხსენიებენ და ელიან, რომ მას მიაქცევენ შესაფერ ყურადღებას და ალაგმავენ მის თავხედობას.

მუშკორი **სიმართლის მთქმელი.**

ეს ნაკლიც უნდა გამოსწორდეს.

(შრომის ინსპექტორის და ტელეგრაფის დარგის ადმინისტრ. საყურადღებოდ)

ტელეგრაფისტების შრომის პირობები დიდიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა საგრძნობლად შეიცვალა მათდა სასარგებლოდ, რაც არა ერთხელ აღვინიშნავს გაზეთის ფურცლებზე. მაგრამ მაინც დარჩა კიდევ თვით ტელეგრაფში შრომის უსწორ-მასწორო განაწილება.

მაგალითისთვის ავიღოთ შემდეგი: ცენტრალურ ტელეგრაფში სდგას „ბოდო"-ს სისტემისა და „მორზე"-ს წყობები.

პირველზე მუშაობა ჩვენის აზრით, უფრო იოლია, მასზე მომუშავე ელმჭერლები „ბოდისტები" ხელფასს ღებულობენ ორი ხარისხით მეტს, ვიდრე „მორზისტები", და მოძრაობის დარგის განმაკარგულებელი და 1 განყოფილებების ელმწერლები ორჯელ მეტს შრომასა და ენერგიას ხარჯავენ, ვიდრე „ბოდისტები" სამაგიეროთ კი მათზე ორ-ორი ხარისხით ნაკლებს ღებულობენ.

საკორდო სამუშაოს დროს ესენი ორჯელ მეტ ხელფას ღებულობდნენ, ვიდრე სხვა „მორზისტები" და „ბოდისტები". და, ღებულობდნენ იმიტომ, რომ ორჯელ მეტ შრომასა და ენერგიას ხარჯავდენ, ვიდრე ისინი: საკორდო სამუშაოს მოსპობით მათი შრომა ოდნავადაც არ შემსუბუქებულა, ხოლო ხელფასით კი გაუსწორდენ სხვა ელმწერლებს და კერძოდ „ბოდისტებს" კიდევაც ჩამორჩნ.

ეს მიუტევებელია. რო[illegible] ტელეგრაფის დარგის ადმინისტრაციამ, ისე შრომის ინსპექტორმა სასწრაფოთ უნდა გამოასწორონ ეს ნაკლიც შეძლებისდაგვარად.

მუშკორი **კოლოლი.**

მეთამბაქოებში.

პირველი თამბაქოს ფაბრიკაში ექვს ოქტომბერს შესდგა ადგილობრივ მუშათა საერთო კრება, სადაც დაესწრო 350 კაცი. მოხსენება გააკეთა ამხ. ოვანესიანმა ქალების უფლებების და მათში მუშაობის გაღრმავების შესახებ. ამის შემდეგ საანგარიშო მოხსენებას აკეთებს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი ქალებს შორის მუშაობის შესახებ. შემდეგ კრება ირჩევს ქალებისაგან ოც დელეგატ-ქალს. აგრეთვე ადგენს გაუწიოს ძმური დახმარება პეტროგრადის პროლეტარიატს ამ უკანასკნელ დროის წყალდიდობის გამო გამოწვეულ უბედურების და მათი სასარგებლოდ იღებს ერთი დღის შრომის ხელფასს. ჩვენი მუშები კვირას იმუშავებენ და შრომის ხელფასს მათი სასარგებლოდ გადადებენ. აი სწორედ მისაბაძი მაგალითი.

მუშკორი **უნგიაძე.**

მოგვაცილეთ გარყვნილების ბუდე.

(მილიციის საყურადღებოდ).

ელისაბედის ქუჩის ბოლოში გერმანელების ახალშენთან არის ვინმე სვანაძის სამიკიტნო, რომელიც გარყვნილების გამავრცელებელ ბუდეს წარმოადგენს. მთელი ღამეობით ქეიფი, გარყვნილ ქალებთან, სიმღერა გინება და ჩხუბი მოსვენებას არ გვაძლევს ახლო-მახლო მცხოვრებ რკ. გზის და სხვა მუშებს. საჭიროა დაინგრეს ეს ბუდე.

მუშკორი **შორეული.**

სიბინძურემ შეგვაწუხა.

(მე-9 უბნის სან. ექიმის საყურადღებოდ).

ავჭალის მოედანზე მდებარე სახლში № 6 სცხოვრობს ტრამვაის ვატმანი და იმავე დროს სახლის მოიჯარადრე მოქ. მიხეილ გასპაროვი, რომელსაც ყავს ერთი ძაღლი. ამ ძაღლისათვის მას მოაქვს საქონლის ნაწლავები, რომელიც ყრია ვედროში რამოდენიმე დღის განმავლობაში და საშინელ ანტისანიტარულ მდგომარეობას ქმნის უბნის ახლომახლო ადგილებში. საჭიროა ზომები ძაღლების მოყვარულის წინააღმდეგ.

მუშკორი **ადამია.**

მოაგვარეთ შეშის საკითხი

(რკ. გზ. მთავარ საწყობის საყურადღებოდ)

ლენინის უბანში მცხოვრებნი დიდ გაჭირვებას განიცდიან სახაზინო საწყობიდან შეშის მიღების მხრით. მუშებს ჯერ შეშის შეძენა უჭირთ მაგრამ მგონია, შეშაზი არ სჭირდებათ მათ იმდენ.., რაც მიტანას უნდა.

თუმცა ამ დღეებში იქნა დაარსებული ნიხრი, მაგრამ ვერც ეს შველის მათ.

საჭიროა, მთავარ საწყობს ქონდეს განყოფილება ლენინის უბნისკენ და ამით მისცეს საშუალება მუშებს სახაზინო შეშით სარგებლობის.

მუშკორი **ჟაკი.**

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ავლაბრის მუშათა კლუბს

(გემოკვების კავშირის და სახგანსახ საყურადღებოთ).

ჩვენ ბევრი წერილები გვქონდა გამოქვეყნებული იმის შესახებ, რომ ავლაბრის მუშათა კლუბში წარმოდგენები სუსტად მიდის. მაგრამ აქედან არას[illegible] გა[illegible]. ასე გავიგეთ, რომ ჯერჯერობით კლუბი ეკუთვნის „გემო-კვების კავშირს". წარმოდგენები ამ ბოლო დროს ავლაბრის მუშათა კლუბში ძალიან სუსტად მიდის იმისათვის, რომ ავლაბრის მუშათა კლუბს შემოსავალი არ ჰქონია და კლუბი ისეთ დგომარეობაშია, რომ ლაძის არის დაიკეტოს.

„გემო-კვების კავშირო", და სახალხო განათლების კომისარიატო კლუბს ცოტა სუბსიდია მიეცით, რომ ეს ერთად-ერთი კლუბი მთელ ავლაბრის მუშათა უბანში არ დაგვეკეტოს და ჩვენი მუშები კიდევ არ შეეჩვიენენ პადვლებში დროს ტარებას.

მუშკორი **ი. ჯ.**

გამოუგზავნილი წერილებიდან

შრომის ექსპლ. ღატაკიას აქა რადა უნდა?!

რკ. გზ. საუბნო სალაროში აქვს ადგილი შრომის ექსპლოატაციის, მიუხედავად იმისა რომ შრომის ინსპექტორის მიერ ამის შესახებ ბევრი ოქმებიც შეყენებული იქნა.

აქ ყოველ დღე ნახავთ სხვადასხვა საჭიროებისათვის შორეულ მუშაავადმყოფებს და უმუშევრებს მუშაობა გვიხდება თავაულებულად მთელი დღის [illegible] ნახ. — 2 საათამდის ზედმეტ საათებში. ხშირად [illegible], კასამრჯელოს კი ვერ ვიღებთ.

ეს არ არის სამართლიანობა. გვამუშავეთ განსაზღვრულ საათებში და ზედმეტ ნამუშევრის, თუ ასეთი იქნება ჯილდოც მოგვეცით.

მუშკორი **ნემსი.**

რატომ არის ეს ასე!

(პრ-ფ-საბჭოს და ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ.)

გასულ თვეში მოხსენება გაგვიკეთეს კომუნალურ მეურნეობის ადგილკომში ახალი კოლ-ხელშეკრულების შესახებ.

ამ მოხსენებიდან გავიგეთ, რომ ჯამაგირები შემცირებულია როგორც დაბალ მოსამსახურეებზე, ისე მაღლებზე; მაგრამ სინამდვილეში კი სულ სხვა დავინახეთ. ჯამაგირის მიღების დროს ვხედავთ, რომ მაღალი ხარისხის მუშაკები ხელფასს ღებულობენ ძველებურად, დაბალი მოსამსახურეები-კი სწორედ ახალი შემცირებული განაკვეთით.

მინდა შევეკითხო აღმასკომს რატომ ხელშეკრულება ერთნაირად არ ვრცელდება ყველაზე?

მუშკორი **ვ. დო—ძე.**

იურიდული დახმარება ამხ. მუშებს

შეკითხვა.

მე ვარ მოსწავლე ჭიათურის ცხრაწლედის სასწავლებელში და მასთან ვმსახურებ შორაპნის სამაზრო პარტიულ კომიტეტში. ოთახი მაქვს მოქ. პ. პეტრიაშვილის შენობაში ორდერით დაკავებული. აღნიშნული სახლის პატრონი ქირას არ ღებულობს და მოითხოვს ოთახის დაცლას რადგან ერთ-ერთ მრეწველთაგანი მეტი ქირას აძლევს ვიდრე მე. გაასაჩივრა სახალხო სასამართლოში ორჯერ მაგრამ სახალხო სასამართლომ ორივეჯერ უარი უყო მის საჩივარს.

მას აქეთაც მივმართე სახლის პატრონს რომ, მიეღო დაკანონებული ქირა, მაგრამ კიდევ უარი განაცხადა ქირის მიღებაზე. ამისათვის გთხოვთ ძიპასუხოთ ჩემს შეკითხვაზე თუ როგორ მოვიქცე.

მ. ბრევაძე.

პასუხი.

ვინაიდან სახლის პატრონი დაკანონებულ ბინის ქირას თქვენგან არ ღებულობს, თქვენ ასეთი შეტანეთ ბანკში სახლის პატრონის სახელზე, ამის შემდეგ ქირა გადახდილად ითვლება და სახლის პატრონს არა აქვს უფლება მოგთხოვოს თქვენ ქირის მომატება ან და ბინიდან გამოსახლება.

შრომის ნაყოფიერების ზრდა

ჩაის კულტურის წარმოება საქართველოში

ერთ-ერთ შემოსავლიანობის წყაროს ჩვენი რესპუბლიკისათვის შეადგენს ჩაის კულტურის წარმოება. ამ კულტურის წარმოება უმთავრესად მიწად-მოქმედების კომისარიატის ხელშია. უმთავრესად იგი სწარმოებს სახალხო მამულებში: ჩაქვაში, სალიბაურში (აჭარისტანი) და ოზურგეთში. ამ მამულთა შორის ყველაზე დიდი უპირატესობა ეკუთვნის და პირველ პლანზე სდგას ჩაქვის მამული, რომელსაც უკავია 540 დესიატინა მიწა, სალიბაურის მამულს უკავია 105 დესიატინა და ოზურგეთისას კი 10 დესიატინა. გარდა ამ სახალხო მამულებისა ჩვენში არსებობს მრავალი კერძო მამულებიც. სულ საქართველოში ამ კულტურას უკავია 1000 დესეტინამდე მიწა დაახლოებით, როგორც სახელმწიფო ისე კერძო პლანტაციებს ქვეშ. საერთოდ ყველა სახალხო მამულებში ჩაის დამზადება ფაბრიკული წესით სწარმოებს, მაგრამ მათ შორის ყველაზე კარგ მდგომარეობაში იმყოფება ჩაქვის მამული. ამ მამულს იმ თავითვე განსაკუთრებული სერიოზული ყურადღება ჰქონდა მიქცეული და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მოვლილი მამული არ მოიპოვება მთელ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ერთად ერთი ნაკლი, რომელსაც ადგილი აქვს ამ მამულში არის მუშების საცხოვრებელი ბინის მოუწყობლობა და საავადმყოფოს უქონლობა. ეს არის ერთად ერთი მტკივნეული მხარე ამ მამულისა, რომელსაც მიქცეული აქვს განსაკუთრებული ყურადღება. დანარჩენი მამულები საშუალო მდგომარეობაში იმყოფებიან. ჩაქვის მამული არსებობს 1895 წლიდან და ამ 28 წლის განმავლობაში არ ყოფილა ისეთი მოსავალი, როგორიც შარშან იყო. შარშან ე. ი. 1923 წელს მოსავლიანობა 30 პროცენტით უფრო მეტი იყო ვიდრე 1922 წელს. წრეულს (1924 წელს) შარშანდელ წელთან შედარებით გაიზრდება 20—25 პროც., ეს გამოანგარიშებულია უკვე. ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ შარშან 21 სექტემბრამდე მწვანე ფოთოლი ჩაისა მოკრეფილი იყო 1.096.872 ფუთი, წელს კი იგი გადიდდა 429.376 ფუთით ე. ი. მოიკრიფა 1.526.248 ფუთი. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ ჩაქვის მამულში დიდ მიღწევებს აქვს ადგილი. დანარჩენ მამულებში მოსავალის რაოდენობა საშუალოა. ამ მამულებში ჩაის კულტურის წარმოება არ არის დაყენებული ისე ფართოდ, როგორც ჩაქვისაში და ამიტომ მათ უფრო ნაკლები ყურადღება ექცევა.

ამ მამულების ჩაის ნაწარმოების უმთავრეს ბაზრად ითვლება სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირის მთელი ტერიტორია. მის ექსპორტს და რეალიზაციას აწარმოებს საქ. სახელმწიფო სავაჭრო ამხანაგობა („გრუზგოსტორგ"-ი) და კოოპერატივები. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ეს წარმოება უდეფიციტოა და ყოველთვის ერთ-ერთ მომგებიან საშუალებად ითვლება ჩვენს სახელმწიფოში. მაგრამ ამ ფრიად სიმპატიურ წარმოებას ათასგვარი დაბრკოლებები ელობებოდნენ წინ. რაც მას სა- [illegible] წარმოებინა თავისი ოპერაციები. ეს დაბრკოლებები გამოიხატებოდა საერთოდ ხელმოკლეობაში — ფინანსიურ კრიზისში. ამ ჟამად ეს დაბრკოლებაც დაძლეულია. ორგანოს, რომელიც განაგებს ამ ოპერაციებს ფინანსიური კრიზისი აღარ მოელის, რაც სხვათა შორის ამ წარმოების გაფართოებასაც შეუწყობს ხელს და საშუალებებს მისცემს მიაღწიოს იმ მიზანს, რომელიც აქვს მას დასახული მომავალში ამ მიმართულებით. მეორეგვარი დაბრკოლება, რომელიც ხვდება ჩაის კულტურის წარმოებას გამოიხატება შემდეგში: როგორც ზევით აღვნიშნეთ ჩაის დამზადება ხდება ფაბრიკული წესით ე. ი. მექანიკურად, მანქანების საშუალებით: ვინაიდან მოსავალი ამ პროდუქტისა, როგორც საერთოდ ისე განსაკუთრებით, ჩაქვის მამულში თანდათან იზრდება, მისი დამამუშავებელი ქარხანა ველარ შეასრულებს თავის დანიშნულებას, ე. ი. არ იქნება საყოფი ჩაის დამუშავებისათვის საჭირო მანქანები და თუ იგი შეძენილ არ იქნა თავის დროზე, წარმოებას კრიზისი მოელის. სხვათა შორის უნდა აქვე აღვნიშნოთ, რომ ქარხნები მუშაობენ სრული 24 საათის განმავლობაში და კიდევ ვერ ასწრებენ შეასრულონ თავისი დანიშნულება. მანქანები ამ წარმოებისათვის კეთდება ინგლისში. ჯერ კიდევ ძველ დროს ჩაქვის მამულისთვის ინგლისში შეძენილი იყო მანქანები, რომელიც გამოგზავნილი იყო ინგლისიდან, ლენინგრადში მათ მოუსწრო საომარო ომმა და იქ შემოსულმა „კულტურულმა" ინგლისელებმა ნახეს თავისი [illegible] მანქანები. საერთოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შრომის ნაყოფიერების პრინციპს, რომელსაც დღეს მთავარი ყურადღება აქვს მიქცეული მთელ საბჭოთა კავშირში, ამ მამულებში იმ თავითვე იცავდენ, რის გამო მთელი მუშაობის 0,9 წესიერად მიმდინარეობდა.

მომავალში განზრახულია კიდევ უფრო გააფართოვონ ეს წარმოება, განზრახულია ის 120.000 დესიატინა მიწა, რომელიც გამოსადეგია ჩაის კულტურის საწარმოებლად საქართველოში, სრულიად გამოყენებულ იქნას მისთვის. აქედან: 350.000 დესიატინა მოდის ზუგდიდის მაზრაზე, 33.000 დესიატინა საერთოდ გურიაზე, 24.000 აჭარისტანზე, 22.000 სენაკის მაზრაზე და 5.800 აფხაზეთზე.

ამათგან დღეს ჩაის კულტურას უჭირავს მხოლოდ ორი კუთხე: აჭარისტანი და გურია. მომავალში გათვალისწინებულ გეგმაში ამისათვის აღებულია ის პროექტი, რომლის თანახმად უნდა გაიხსნას ყველა ამ ზემოდ ჩამოთვლილ პუნქტებში საცდელ-საჩვენებელი პლანტაციები და ქარხნები სადაც ტეხნიკური საქმიანობა და თვით კონტროლი უნდა ჰქონდეს ხელში სახელმწიფოს და თვით პლანტაციების წარმოება გადაეცეს წვრილ-წვრილ მესაკუთრეებს. ამ მხრივ დღეს დიდი გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს და თუ იქნა საშუალება მისი რეალურად განხორციელებისა დიდი სარგებლობას მოუტანს, ჯერ ამ წარმოების გაუმჯობესებას და შემდეგ თვით სახელმწიფოს ეკონომიურად გაძლიერებას.

ინფ. [illegible]

ჩვენი წარმოება უმჯობესდება

მეორე სახელმწიფო თუთუნის ქარხანა „პროლეტარი"-ს მდგომარეობა, რაც დრო გადის, შედარებით — წარსულ წლებთან თანდათან უკეთეს პირობებში სდგება. ამ ჟამათ ქარხანა იმდენათ ნორმალურ მდგომარეობაშია ჩაყენებული, რომ ცოტათი მაინც მუშათა მოგომარეობის პირობებს გაუმჯობესება შესაძლებელი არის.

მუშები თუმცა მძიმე პირობებში იმყოფებიან, მაგრამ მაინც სინდისიერათ ეკიდებიან, წარმოების გაფართოებას.

ნაწარმოები გამოდის საუკეთესო ღირსებისა, რის დამამტკიცებელიც არის ფართო მოთხოვნილება ჩვენ გამზადებულ საქონელზე, ბაზრები ამ ჟამად გამრავლებულია. წარსულ წელს დიდი ძალი დამზადებული საქონელი ეწყო საწყობებში, დღეს იმისი მეოთხედიც არ არის. თვით მუშებიც ძალიან სიფრთხილით ეკიდებიან საქმეს და სინდისიერათაც ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

გვაქვს მასალა. ქარხანას საკმაოდ აქვს დაუმუშავებელი მასალაც. თუთუნს ღებულობს ქარხანა ტრესტის ბაზის საწყობიდან ყოველთვიურათ იმდენს, რამდენიც შეუძლიან დამუშავება.

ტრესტს აქვს სათადარიგო თუთუნი, როგორც ლაგოდეხისა, აგრეთვე სუხუმის რაიონის არა ნაკლებ 50,000 ფუთისა.

სხვა და სხვა საჭირო ქაღალდის მ სალა აქვს ტრესტს 8 თვის სამყოფი.

მუშათა რაოდენობა. ქარხანაში 198 მუშაა — ქალი და კაცი. დანარჩენები შვებულებაში იმყოფებიან.

ქარხანაში შეუჩერებლივ მუშაობს 20 პაპიროსის გასამსები მანქანა, რომელიც აძლევს ყოველთვიურად 16,000,000 პაპიროს.

აგრეთვე მუშაობს 7 გილზის მანქანას ორ აპარატიანი და 8 მანქანა ცალაპარატიანი, რომელიც აძლევს ამოდენივე დამზადებულ გილზებს. თითოეული მუშა დაახლოვებით ამზადებს ყოველ დღიურად **ხუთი ათას პაპიროსს** და ამოდენსავე გილზებს; ამ უკანასკნელ თვეში დავამზადეთ ბაზარზე გასატანად 7500 გირვანქა თუთუნი — 1 და 2 ხარისხისა.

ყოველ დღიურად ირჩევა ფოთოლი თუთუნი არა ნაკლებ 35 ფუთისა. მუშაობს 4 დასაჭრელი მანქანა, რომელიც ყოველდღიურად სჭრის 35 ფ. თუთუნს. დამზადებულ პაპიროსებს ყოველდღიურად ეკვრება ბანდეროლი დაახლოვებით 700,000.

შრომის ხელფასი. საშუალოდ მუშები ღებულობენ ჯამაგირს — თვეურათ 35 მ. 20 კ. ეს ჯამაგირი, სამწუხაროდ, ვერ უთანასწორდება ბაზარს, რის გამოც მუშა ყოველ დღიურ ოჯახურ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. მუშათა უმრავლეს ნაწილს ეძლევა ყოველ დღე თითო ჭიქა რძე, იძლევათ აგრეთვე ნისიად კოოპერატივიდან გამოტანილი პური, რამდენსაც კი მოითხოვს მუშა. პურის საფასურს უჭერენ ჯამაგირიდან თვეში ორჯერ.

დიდი ხანი არ არის, რაც აქ დაარსდა ეგრეთ წოდებული წარმოების სათათბირო, რომელშიაც შედიან წევრებად, როგორც მუშები აგრეთვე დირექციის მხრით. ყოველ კვირაში ერთხელ ხდება სათათბირო ბიუროს სხდომა, სადაც არჩევენ ყოველ დღიურ დეფექტებს თუ ასეთი არსებობს ქარხანაში. ბიურომ გამოიმუშავა თავისი წესდება 35 მუხლით, რაც საერთო მუშათა კრების მიერ იქნა დამტკიცებული და ცხოვრებაში გატარებული. ამ წესდების გატარების შემდეგ შესაფერი ცვლილება დაეტყო ჩვენს მუშაობას უკეთესობისაკენ.

მუშკორი **ალ. ბა—შვილი.**

მე-3 სახელმწიფო თამბაქოს ქარხანა

ფაბრიკაში შესვლისათანავე მნახველის ყურადღებას იპყრობს აბსოლიუტური სისუფთავე და მუშების გაცხოველებული შრომა, რომლებიც ყოველთვის მომღიმარი სახით ასრულებენ თავიანთ საქმეს. ფაბრიკა სხვა და სხვა განყოფილებებისაგან შესდგება: **გადასარჩევი** სადაც მიღებული თამბაქო ირჩევა დასამუშავებლათ, შემდეგ **დასაჭრელი** — აქ გადარჩეული თამბაქო იჭრება, მისთვის სპეციალურ მანქანაზე. შემდეგ არის განყოფილება, სადაც დაჭრილ თამბაქოს აწყობენ და ჰკრავენ ქაღალდებში. არის აგრეთვე **ახაცენკი განყოფილება**, აქ დაჭრილი თამბაქო იცენცება და ირჩევა ხარისხებათ. შემდეგ **სამწყუძო განყოფილება**, ქაღალდის პარკების დამზადება. შემ- [illegible] ბა თამბაქო და შემდეგ იწყობა კოლოფებში. აქედან იგი გადადის საბანდეროლოში, ეკვრის მას ბანდეროლი, ლაგდება ყუთებში და იგზავნება. აი მთავარი მუშაობა, რომელსაც — აწარმოებს ფაბრიკა. ამ განყოფილებათა შორის ყველაზე უფრო საძნელო მუშაობა უხდებათ იმ მუშებს, რომლებიც მუშაობენ სარჩევ, საცენც და თვით პაპიროსის დასამზადებელ განყოფილებებში. აქ ყოველთვის მტვერი სდგას, რისი ყლაპვაც უხდებათ მუშებს, მაგრამ ამისათვის ყოველდღიურად ეძლევათ თითო სტაქანი რძე. ეს განყოფილებები, სხვა განყოფილებებისაგან გამოყოფილია სრულიად.

წარმოება.

ფაბრიკა ამზადებს პაპიროსებს და თამბაქოს საკმაო რაოდენობას. იგი [illegible] იქენს სოხუმსა და ლაგოდეხში [illegible] უნაწილებს ფაბრიკებს. ნედლეული მასალა ფაბრიკას ყოველთვის [illegible] ოდ მოეპოვება ასე, რომ [illegible] წარმოება უზრუნველყოფილია. [illegible] რიკის ნაწარმოები [illegible] რებად ითვლება: [illegible] ბაზრები, [illegible], სოხუმი, [illegible] ტანი, სპარსეთი, [illegible] სომხეთი და ადერბეიჯანი [illegible] რებზე სწარმოებს [illegible] უმთავრესად. ეს ნაწარმოები ამ ბაზრებზე ყოველთვის [illegible] საღდება. ასე, რომ ფაბრიკის ნაწარმოებს დეფიციტი არ აქვს და ერთ-ერთ შემოსავლის წყაროდ ითვლება სახელმწიფოში. ხაზგასასმელი ის გარემოება არის, რომ ფაბრიკას არავითარი დეფექტები არ ხვდება. მანქანები ყველა შეკეთებულია და კარგად მუშაობენ, გარდა იმ მანქანებისა, რომელიც ამჟამად მუშაობენ ფაბრიკა აქვს კიდევ სხვებიც, რეზერვში მდგომი, რომლების რემონტიც მიმდინარეობს ამჟამად. ფაბრიკას აქვს თავისი მექანიკური განყოფილება, რომელიც აწარმოებს მათ შეკეთებას, ასე, რომ არც ამ მხრივ მოელის წარმოებას შეჩერება. ზედმეტი საათების მუშაობას ფაბრიკაში ადგილი არ აქვს, რომელიც ყოველთვის მეტ ხარჯებს იწვევს საერთოდ. ფაბრიკაში მოწვეული იყო საწარმოო თათბირი, რომელზედაც გაირჩა უმეტესად საორგანიზაციო საკითხები და ამორჩეულ იქნა ბიურო, რომელიც მეუდგება მუშაობას ამ სფეროში.

მუშათა ცხოვრება.

ფაბრიკაში მუშაობს სულ 178 მუშა, აქედან 89 ქალია და 89 მამაკაცი. მათი საშუალო ხელფასი უდრის 35 მ., და 20 კაპიკს. დამოკიდებულება ადმინისტრაციისადმი სააგალითოა. ყოველივეს, რაც გათვალისწინებულია კოლხელშეკრულებაში, ყოველთვის წესიერად ღებულობენ მუშები: სპეც-ტანისამოსი, სპეც-საპონი და ერთი სიტყვით ყოველივე, რაც კი ერგებათ მათ, წესიერად ეძლევათ. მოაარმული წყალი, ხომ აუცილებლად ყოველთვის მოეპოვება ფაბრიკაში. პირის საბანი ქალებ' ცალკე აქვთ, მამაკაცებს ცალკე. საპონი ეძლევათ თითოეულს ცალცალკე, აგრეთვე პირსახოცი თითოეულს საკუთრად ეძლევათ. სპეცტანისამოსი ყოველთვის სუფთად აქვთ და ერთი სიტყვით მუშები, ყველაფრით კმაყოფილი არიან არასფერი არ აკლიათ.

მუშებში ესლახან ამოირჩიეს ახალი ფაბკომი, რომელშიაც ყველა შეგნებული მუშები შევიდენ. ჯამაგირი ურიგდებათ თვეში ორჯერ 1-სა და 15-ში. ფაბრიკას აქვს თავისი სასადილო, სუფთად მოწყობილი, სადაც მუშაობის დაწყებამდის მუშებს ეძლევათ ჩაი და საუზმი დროს საუზმე. აგრეთვე ფაბრიკასთან არის მუშკოოპის დუქანი, რომელიც მუშებს აძლევს ნისიად საჭირო პროდუქტებს ჯამაგირის მი- [illegible]